საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიწერეთ, იკითხეთ!

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 5 (2118) | ოთხშაბათი, 10 იანვარი, 1996 წელი. | ფასი 30 თეთრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალს გადახდა უნდა!

ვალს რომ გადახდა უნდა, ეს ჭეშმარიტება ადამიანებმა ოდითგანვე იცოდნენ. თუმცა, ჭეშმარიტება ერთია და გაჭირვება კიდევ მეორე. გაუჭირდა ქვეყანას და იგი ვალებითა და მოვალეებით აივსო. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა „საქენერგო" (მოვალეებს მისი 100 მილიონამდე ლარი მართებთ), რომელსაც ხელფასების გაცემაც კი პრობლემად გახდომია.

ბევრი მოვალის პოზიცია ასეთია: — „რა ჩემი ბრალია, რომ ღატაკი ვარ, რაც არა მაქვს, რა გადავიხადო? (ისეთებიც არიან, სხვისი პროდუქციით (დენით) საკუთარ პროდუქციას რომ ქმნიან, კარგ ფულსაც ატრიალებენ, მაგრამ მაინც არ იხდიან). არც ერთია მართალი და, არც მეორე — ვინც ხარჯავს, მან კიდევაც უნდა გადაიხადოს.

ქვემოთ ვაქვეყნებთ იმ ქალაქების, რაიონების, ორგანიზაციების სიას, რომელთაც ენერგეტიკოსების ვალი მართებთ, აგრეთვე, საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის კომენტარს. ვიმედოვნებთ, მოვალეები დანამუსდებიან და „შავ სიაში" მეორედ აღარ მოიხვედრებენ თავს. ნამუსსაც რომ თავი დავანებოთ, დაუწერელ (თუ დაწერილ) კანონს რას ეუბნებით — ვალს გადახდა უნდა!

> ენერგოკრიზისის დაძლევის გასაღები (დღეს ეს უკვე გაბედულად უნდა ითქვას) მოხმარებული ენერგიის საფასურის გადახდაა. ფინანსურად საქენერგო გაკოტრებამდეა მისული. ამ თემაზე ჩემი საუბრის მიზანი ის არის, რომ საქართველოს ყველა მოქალაქემ, ყველა მეწარმემ, ყველა დირექტორმა გაიგოს — მივაღწევთ მოხმარებული ელექტროენერგიის ანაზღაურებას იმ ფარგლებში, როგორც ჩვენ ვხარჯავთ, — გვექნება ელექტროენერგია.
>
> **ედუარდ შევარდნაძის 8 იანვრის რადიოინტერვიუდან.**

„საქენერგოს" მოვალეთა საყურადღებოდ

ქალაქების, რაიონებისა და ორგანიზაციების დავალიანება

(1995 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით)

მომხმარებლების დასახელება	დებიტორული დავალიანება (ათასი ლარი)
აჭარა	6555,2
ოზურგეთის რ-ნი	38,1
ლანჩხუთის "	295,2
ჩოხატაურის "	180
ზუგდიდის "	2048,8
წალენჯიხის "	902,2
ჩხოროწყუს "	874,6
სენაკის "	1373,3
მარტვილის "	762,1
აბაშის "	370,9
ხობის "	380,7
ქ. ფოთი	1256,5
ქ. ქუთაისი	5115,5
წყალტუბოს რ-ნი	2202,8
სამტრედიის "	1582,8
ხონის "	855,7
ვანის "	226,7
ბაღდათის "	182,7
ტყიბულის "	1496,3
ცაგერის "	115,0
ლენტეხის "	61,8
ზესტაფონის "	2518,5
თერჯოლის "	605,5
ხარაგაულის "	446,5
ჭიათურის "	441
საჩხერის "	875,2
ამბროლაურის "	331,9
ონის "	131,6
ახალციხის "	558,9
ახალქალაქის "	516,1
ადიგენის "	76,8
ასპინძის "	88,7
ნინოწმინდის "	175,8
ბორჯომის "	884
გორის "	2591
ხაშურის "	1463,8
კასპის "	1275,6
ქარელის "	558,7
ახალგორის "	189,8
ქ. რუსთავის	1608,5
მცხეთის "	1940,8
დუშეთის "	1491,7
საგარეჯოს "	606,8
თიანეთის "	261,5
გარდაბნის "	2451,5
არაგვის წყალსადენები	2601,3
მარნეულის რ-ნი	1956,8
ბოლნისის "	168,8
დმანისის "	174,4
წალკის "	432,6
თეთრიწყაროს "	283,7
გურჯაანის "	1006,8
სიღნაღის "	194
დედოფლისწყაროს "	283
თელავის "	728,3
ახმეტის "	328,2
ლაგოდეხის "	108,8
ყვარლის "	133,3
საწარმოო გაერთიანება „აზოტი"	1741,7
რუსთავის ცემენტის ქ-ნა	69,6
„თელასი" (თბილისი)	24223,9
რკინიგზის დეპარტამენტი	2388,9
გარდაბნის მეუ. რუბ. ქარხანა	63,6
ქუთაისის ავტოქარხანა	425,7
სს „მადნეული"	352
საქნახშირი (ტყიბული)	122,7
„კასპცემენტი"	392,2
კაჭრეთის პურკომბინატი	76,1
გორის „—"	74
სს „ლაინი" (გორი)	70,8
საავიაციო ქარხანა	105,8
„ელმავალმშენებელი"	27
აჭარის შაქრის კომბინატი	22,7
სს მეტეხ. კერამიკის კომბინატი	89
ხაშურის მინის ტარის ქარხანა	181,2
სს „მეტეხის აგური"	31,9
და სხვ.	

„საქენერგოს" დეპარტამენტი.

საქართველოს პრეზიდენტის კომენტარი:

დღეს გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" აქვეყნებს ვრცელ ინფორმაციას მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის მასობრივი გადაუხდელობის თაობაზე, რაც ჩვენში არსებული ენერგოკრიზისის მიზეზია. დეპარტამენტ „საქენერგოს" არ მიუღია, დააკლდა კოლოსალური თანხები, თითქმის 100 მლნ. ლარი, რაც დაახლოებით 8 თვის განმავლობაში მიწოდებული ელექტროენერგიის ღირებულების ტოლფასია. ამ მიზეზით, ცხადია, სისტემაში, თვეობით გაუცემელია ხელფასები, სავალალო მდგომარეობაშია ელექტროსადგურები, ქსელები, ვერ ხერხდება ელემენტარულად აუცილებელი სარემონტო-პროფილაქტიკური სამუშაოების შესრულება. ასე გაგრძელება, უბრალოდ, შეუძლებელია, საერთოდ და განსაკუთრებით, ზამთრის პირობებში, როცა დიდი თანხებია საჭირო ელექტროენერგიის გამოსამუშავებლად, სათბობის შესაძენად. ვფიქრობ, განსაკუთრებული მტკიცება არ უნდა ესაჭიროებოდეს იმ გარემოებას, რომ ელექტროენერგია, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა საქონელი თუ მომსახურება, არ შეიძლება უფასო იყოს.

მოვითხოვ მინისტრებისაგან, სამხარეო რწმუნებულებისაგან, ქალაქების მერებისა და რაიონების გამგებლებისაგან, ბანკების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებისაგან, თავიანთი პირადი პასუხისმგებლობით ყოველდღიურ კონტროლზე აიყვანონ ენერგიის საფასურის გადახდის, დავალიანების მკვეთრი შემცირების საკითხი და უზრუნველყონ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში არსებითი გარდატეხის შეტანა ამ სფეროში.

ჩვენ ყველამ უნდა გავიცნობიეროთ, რომ ენერგოკრიზისიდან გამოსვლა შესაძლებელია, და, ეს მოხდება მოკლე დროში, მაგრამ ამ ისტორიული ამოცანის გადასაწყვეტად, სასიცოცხლოდ აუცილებელია მოხმარებული ენერგიის ღირებულების გადახდის ორგანიზაცია.

ასეთი მონაცემების გამოქვეყნება მოხდება სისტემატურად, სათანადო ორგანიზაციული და ადმინისტრაციული ზომების მიღებით.

ედუარდ შევარდნაძე.

რუსეთის მინისტრი — თბილისის საპატიო მოქალაქე

მოსკოვიდან მიღებული ცნობით, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნულია აკადემიკოსი ევგენი პრიმაკოვი, რომელიც აქამდე რუსეთის ფედერაციის საგარეო დაზვერვის სამსახურს ხელმძღვანელობდა. სხვათა შორის, ე. პრიმაკოვი დიდხანს ცხოვრობდა თბილისში, იგი თბილისის საპატიო მოქალაქეა.

ბუდიონოვსკის შემდეგ — ყიზლარი

ახალი მასშტაბიანი ტერორისტული აქცია განახორციელეს ჩეჩენმა ბოევიკებმა, ამჯერად, მათი თავდასხმის ობიექტი გახდა დაღესტნის ქალაქი ყიზლარი. ექვსასმა ტერორისტმა დაიკავა ქალაქის საავადმყოფო და მძევლად აიყვანა 3000-მდე ადამიანი: ქალები, ბავშვები, ავადმყოფები, ექიმები. რუსეთის პრეზიდენტის განკარგულებით, შეიქმნა მძევალთა ხსნის შტაბი, რომელსაც ემორჩილება ოპერაციის მონაწილე ყველა ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენელი.

ტერორისტებს ხელმძღვანელობს გენერალ დუდაევის სიძე, 28 წლის სამან რადუევი.

შეხვედრა პარლამენტში

9 იანვარს საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე კახა ჩიტაია შეხვდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ირაკლი მენაღარიშვილს.

საუბარი შეეხო 19 იანვარს მოსკოვში თანამეგობრობის წევრი ქვეყნების ხელმძღვანელთა შეხვედრაზე საქართველოს პრეზიდენტის მონაწილეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს. საქართველოს მხარის ოფიციალური მოთხოვნის მიუხედავად, ჯერაც დაკავებული არ არის უშიშროების სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი იგორ გიორგაძე, რომელიც დღემდე მოსკოვში იმყოფება.

ბატონმა კახა ჩიტაიამ სთხოვა ბატონ ირაკლი მენაღარიშვილს, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალური ნოტა გაუგზავნოს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, რათა რუსეთის მხარემ უზრუნველყოს საქართველოს პრეზიდენტის უსაფრთხოება მოსკოვში ვიზიტის დროს.

ვიზიტი

„შევრონ ოვერსი" აპირებს კაპიტალის ინვესტირებას საქართველოში

„ჩვენ ვაპირებთ განვახორციელოთ სერიოზული ინვესტირებანი საქართველოში", — განაცხადა 8 იანვარს საღამოს თბილისში ჩამოსულმა „შევრონ ოვერსის" პრეზიდენტმა რიჩარდ ჰერმან მაცკემ, რომელიც მეთაურობს ამ ნავთობის საერთაშორისო კომპანიის წარმომადგენლობით დელეგაციას. მზადყოფნა აქტიურად ჩაება საქართველოს ტერიტორიის გავლით კასპიის ნავთობის ტრანზიტის პროექტში, რომელიც დაამტკიცა აზერბაიჯანის ნავთობის საოპერაციო კონსორციუმმა, მან დაადასტურა ქვეყნის პრეზიდენტთან ედუარდ შევარდნაძესთან საუბრის დროს.

საქართველოს მხრიდან საუბარში მონაწილეობდნენ აგრეთვე სახელმწიფო მინისტრი ნიკო ლეკიშვილი, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი აზერბაიჯანში, საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტი გიორგი ჭანტურია, ვაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის მინისტრი კონსტანტინე ზალდასტანიშვილი, სხვა ოფიციალური პირნი.

საუბრის დასრულებისთანავე ედუარდ შევარდნაძე და რიჩარდ მაცკე შეხვდნენ ჟურნალისტებს. საქართველოს პრეზიდენტმა მნიშვნელოვანი მოვლენა უწოდა ასეთი სახელგანთქმული საერთაშორისო კომპანიის დელეგაციის ვიზიტს საქართველოში, როგორიც არის „შევრონ ოვერსი". ეს, როგორც მან თქვა, კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ საქართველო და მთლიანად კავკასია არის მნიშვნელოვანი სატრანზიტო კვანძი, რომლის ტერიტორიის გავლითაც შეიძლება გაიყვანონ მძლავრი ნავთობსადენები, გაზსადენები, გადაზიდონ დიდძალი ტვირთი დასავლეთის ქვეყნების მიმართულებით. როგორც ედუარდ შევარდნაძემ თქვა, „შევრონ ოვერსის" პრეზიდენტთან გამართული საუბრის დროს განიხილეს კასპიის ზღვის ნავთობის ტრანზიტის მომზადებასთან დაკავშირებული საკითხები. სხვა პრობლემები. ჩვენ მივედით [illegible] აღნიშნა მან, რომ [illegible] თვალსაზრისით. ეს ორივე მხარისათვის საინტერესოა. ახლა მთავარი საკითხი არის ის, რომ ამ პროცესს მიეცეს მეტი დინამიზმი და უფრო დაჩქარდეს იგი.

როგორც რიჩარდ მაცკემ თქვა, პოსტსაბჭოთურ რესპუბლიკებთან „შევრონ ოვერსის" საქმიანი კონტაქტების დამყარებას მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი ედუარდ შევარდნაძის მიერ ჯერ კიდევ 80-იან წლებში გამოთქმულმა კონსტრუქციულმა წინადადებებმა. სწორედ ამას მოჰყვა „შევრონის" ფართომასშტაბიანი ინვესტიციები ყაზახეთის თენგიზის ნავთობის საბადოს ათვისების პროექტში, სადაც მუშაობა უკვე სამი წელია გრძელდება. შევარდნაძის ფაქტორმა და საქართველოს ხელსაყრელმა გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ, რომელიც ევრაზიის შესაყარზე იმყოფება, მნიშვნელოვანწილად განაპირობა კომპანიათა ინტერესი ამ პროექტის განხორციელებაში. [illegible] რა საქართველოში თავისი ვიზიტის მიზნებს, რიჩარდ მაცკემ განაცხადა, რომ მისი მიზანია მიიღოს საჭირო ინფორმაცია ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის შესახებ, შეიმუშაონ კონცეფცია, რომელიც ითვალისწინებს მის სრულფასოვან გამოყენებას და განვითარებას.

ეს აზრი „შევრონ ოვერსის" პრეზიდენტმა შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზეც განავრცო, როცა აღნიშნა, რომ ამჟამად უაღრესად მნიშვნელოვანია განისაზღვროს პრიორიტეტები როგორც საქართველოს, ისე მისი კომპანიისათვის, რათა ისინი ორივე მხარისათვის სასარგებლოდ შევუთავსოთ ერთმანეთს. ჰოდა. ამიტომ, შენიშნა მან, შესათანხმებელია ყველა ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხი, სანამ დავიწყებდეთ კონკრეტულ საუბარს მომავალ ინვესტიციათა მოცულობის შესახებ. ამ თვალსაზრისით, რიჩარდ მაცკეს ფრიად სასარგებლოდ მიაჩნია პროგრამით გათვალისწინებული დელეგაციის ვიზიტი აღმოსავლეთ საქართველოში, საზღვაო ნავსადგურების ბათუმისა და ფოთის, იმ სხვა ობიექტების დათვალიერება, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ რესპუბლიკაში უკვე არსებული ნავთობსადენის ფუნქციონირების აღდგენის მიზნით. იგი ფიქრობს, რომ ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის კარგ პერსპექტივას სახავს აგრეთვე საქართველოში ამ ცოტა ხნის წინათ შექმნილი ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია, რომლის ფუნქციებში უშუალოდ შედის არა მარტო კასპიის ნავთობის მომავალ ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული საკითხები, არამედ საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობის დაზვერვის, მოპოვებისა და გადამუშავების პრობლემებიც.

ამავე დღეს კომპანია „შევრონ ოვერსის" დელეგაცია საგარეჯოს გაემგზავრა.

საქინფორმი.

სურათებზე: „შევრონ ოვერსის" პრეზიდენტი რიჩარდ ჰერმან მაცკე და საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე; საუბრის დროს;

გიორგი შარაშენიძისა და გელსიდა აკოპიანის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

დიპლომატიური ქრონიკა

ისლანდიის ელჩის მიღების დროს. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საფუძველი ჩაეყარა ორი ქვეყნის თანამშრომლობას

9 იანვარს პარლამენტის მიღებათა დარბაზში ისლანდიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა რუსეთის ფედერაციასა და საქართველოში გიუნარ გიუნარსონმა საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს გადასცა ელჩის უფლებამოსილების დამადასტურებელი რწმუნებათა სიგელები.

სიგელების გადაცემის ცერემონიის შემდეგ გაიმართა შეხვედრა.

ბატონი ედუარდ შევარდნაძე მიესალმა ელჩის დანიშვნას საქართველოში და განაცხადა, რომ ჩაეყარა რეალური საფუძველი ორ ქვეყანას შორის მომავალ თანამშრომლობას. მან ასევე აღნიშნა, რომ ისლანდიის გამოცდილება უდავოდ წაადგება ჩვენს ქვეყანას ისეთი დარგების განვითარებისათვის, როგორიცაა თევზჭერა, თერმული წყლებისა და ენერგიის არატრადიციული რესურსების გამოყენება.

პრეზიდენტმა ილაპარაკა ქვეყანაში ბოლო წლებში შექმნილი პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების შესახებ. ითქვა, რომ მომავალში რუსეთის აქტიური მონაწილეობით გადაწყდება აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების საკითხი.

ბატონმა გიუნარ გიუნარსონმა განაცხადა, რომ მის სამშობლოში კარგად არიან ინფორმირებული საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ და ისლანდიის მთავრობა მხარს უჭერს საქართველოს პრეზიდენტის კურსს პოლიტიკური სტაბილიზაციისა და ეკონომიკური რეფორმების რეალიზაციის საქმეში.

ნანა გელაშვილი,
საქინფორმის კორ.

მიღება

შემუშავებულია და დასამტკიცებლად მზადაა „სამოქალაქო კოდექსი"

9 იანვარს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო იუსტიციის მინისტრი თედო ნინიძე. პრეზიდენტმა მაღალი შეფასება მისცა იუსტიციის სამინისტროს საქმიანობას და კმაყოფილებით აღნიშნა, რომ შემუშავებულია და განსახილველად მზად არის კონსტიტუციის ტოლფასი დოკუმენტი — „სამოქალაქო კოდექსი". ასევე მუშავდება ახალი კანონების მთელი პაკეტი, რომლებსაც პარლამენტი იანვარ-თებერვალში განიხილავს. „იუსტიციის სამინისტრო უნდა იყოს მთავარი ორგანიზატორი საკანონმდებლო საქმიანობისა", — განაცხადა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ.

იუსტიციის მინისტრმა მადლობა გადაუხადა პრეზიდენტს დიდი ნდობისათვის და დასამტკიცებლად წარუდგინა იუსტიციის მინისტრის მოადგილეთა კანდიდატურები — ბატონები ალექსანდრე ტყეშელაშვილი, ვახტანგ გვარამია, ვაჟა რამიშვილი.

— პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

1996 წლის 9 იანვარს შედგა თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის სესია, რომლის შედეგების მიხედვით განისაზღვრა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები:

ავსტრალიური დოლარი	0.9221	ლარი
ავსტრიული შილინგი	0.1219	ლარი
ინგლისური გირვანქა სტერლინგი	1.9232	ლარი
10 ბელგიური ფრანკი	0.4225	ლარი
გერმანული მარკა	0.8574	ლარი
ჰოლანდიური გულდენი	0.7658	ლარი
დანიური კრონი	0.2216	ლარი
1000 იტალიური ლირა	0.7869	ლარი
კანადური დოლარი	0.9145	ლარი
ნორვეგიული კრონა	0.1946	ლარი
აშშ დოლარი	1.2400	ლარი
ფინური მარკა	0.2849	ლარი
ფრანგული ფრანკი	0.2510	ლარი
შვედური კრონი	0.1875	ლარი
შვეიცარული ფრანკი	1.0639	ლარი
10 იაპონური იენი	0.1194	ლარი
ეკიუ	1.5806	ლარი
10 ესპანური პესეტა	0.1019	ლარი
100 ბერძნული დრაქმა	0.5211	ლარი
ირლანდიური გირვანქა	1.9797	ლარი
10 ისლანდიური კრონი	0.1904	ლარი
ქუვეითური დინარი	4.1444	ლარი
1000 ლიბანური გირვანქა	0.7779	ლარი
100 პორტუგალიური ესკუდო	0.8251	ლარი
სინგაპურის დოლარი	0.8691	ლარი
10 000 თურქული ლირა	0.2075	ლარი
ეგვიპტური გირვანქა	0.3651	ლარი
1000 რუსული რუბლი	0.2400	ლარი
ლიტვური ლიტი	0.2797	ლარი
ლატვიური ლატი	2.0909	ლარი
10 ესტონური კრონი	0.9668	ლარი
100 000 უკრაინული კარბოვანეცი	0.6312	ლარი
10 ყაზახური ტენგე	0.1735	ლარი
მოლდოვური ლეი	0.2464	ლარი
ყირგიზული სომი	0.1022	ლარი
10 000 ბელორუსული მანეთი	0.9576	ლარი
10 უზბეკური სუმი	0.3233	ლარი
1000 აზერბაიჯანული მანათი	0.2496	ლარი
100 სომხური დრამი	0.2764	ლარი

თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუბრები კონსტიტუციაზე

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპები

რედაქციის შეკითხვებზე უპასუხებს სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი **იაკობ ფუტკარაძე.**

— რას ნიშნავს სამართლებრივი სახელმწიფო, რამდენად სრულად აისახა იგი ახალ კონსტიტუციაში და როგორია მისი აშენების პერსპექტივები საქართველოში?

— სამართლებრივი სახელმწიფოს თეორია საკაცობრიო აზროვნების თვალსაჩინო მონაპოვარია. ტერმინი „სამართლებრივი სახელმწიფო“ იმანუელ კანტმა შემოიღო საგულისხმო პარალელით: მაშინ სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა ფეოდალიზმის გადმონაშთების აღმოსაფხვრელად გამოიყენებოდა, ახლა კი იგი ლენინური სოციალიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ არის მიმართული.

ზოგადად, სამართლებრივი სახელმწიფო ნიშნავს კანონის, სამართლის ბატონობას სახელმწიფოსა თუ საზოგადოებაში. სხვანაირად რომ ვთქვათ, სამართლებრივია სახელმწიფო, რომლის ხელისუფლება დაფუძნებულია სამართალზე, სამართლით შემოიზღუდება და სამართლის მეშვეობით ხორციელდება.

ჩვენი ახალი კონსტიტუციის პრეამბულაში აღნიშნულია, რომ საქართველოს მოქალაქეთა ურყევი ნებაა დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო. მაშასადამე, საქართველოს კონსტიტუციაში დასახულია სამართლებრივი სახელმწიფოს აშენების ამოცანა, მიზანი და, ამგვარად, იგი სამომავლო საქმედ არის მიჩნეული.

უნდა ითქვას, რომ საქართველოს მოქმედ კონსტიტუციაში, სამწუხაროდ, არ არის წარმოდგენილი ქართული სამართლებრივი სახელმწიფოს აშენების ყველა წანამძღვარი. სახელდობრ, აქ არ არის განსაზღვრული სახელმწიფო წყობილების ფორმა. კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ. სამართლებრივი სახელმწიფოს აშენების პრობლემა არსებითად ვერ გადაწყდება, სანამ კონსტიტუციურად არ გაირკვევა საქართველოს სახელმწიფო წყობილების ფორმის საკითხი.

სამართლებრივი სახელმწიფო რთული, მრავალფაქტორული სისტემაა. მის არსს გამოხატავს სამი კომპონენტი: კანონის ბატონობა, მისი უზენაესობა; ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა უზრუნველყოფა; სახელმწიფოს მოწყობა ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე.

საერთაშორისო სტანდარტით, ადამიანის უფლებების უზრუნველყოფის საფუძველს შეადგენს სამართლებრივი სახელმწიფო. თუ არ არის სამართლებრივი სახელმწიფო, მაშინ არც ადამიანის უფლებებია არსებითად უზრუნველყოფილი. დაფიქსირების თვალსაზრისით კი ადამიანის უფლებები და თავისუფლებები საქართველოს კონსტიტუციაში, თამამად შეიძლება ითქვას, მართლაც სანიმუშოდ არის ჩამოყალიბებული. ამასთანავე, დაკანონებულია, რომ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, უმცირესობათა უფლებების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს სუვერენიტეტს, სახელმწიფო წყობილებას, ტერიტორიულ მთლიანობასა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას.

— სამართლებრივი სახელმწიფო ხელისუფლების სამართლიან მოწყობასაც გულისხმობს. ამაზე რა მოსაზრებას გამოთქვამდით?

— გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ამისი საუკეთესო ფორმაა ხელისუფლების დანაწილების პრინციპი. ჯერ კიდევ საფრანგეთის 1789 წლის ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია აცხადებდა, რომ საზოგადოებას, სადაც არ ხორციელდება ხელისუფლების დანაწილება, არ გააჩნია კონსტიტუცია. ხელისუფლების დანაწილების პრინციპი სამართლებრივი სახელმწიფოს საძირკველია. მას ემყარება სამართლებრივი სახელმწიფოს მთელი სისტემა. ხელისუფლების დანაწილების იდეა პირდაპირ არის ასახული საქართველოს ახალ კონსტიტუციაში. მე-5 მუხლის ძალით, „სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით“. თანაც, კონსტიტუცია აცხადებს, რომ არავის არა აქვს უფლება მიითვისოს ან უკანონოდ მოიპოვოს ხელისუფლება. კონსტიტუციაში ცალ-ცალკე თავებშია ჩამოყალიბებული ნორმები, რომლებითაც წესრიგდება ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლების სამი განშტოება — საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება, მოცემულია მათი ურთიერთშეკავებისა და გაწონასწორების სისტემა.

სახელისუფლებო ორგანოების დღევანდელი მდგომარეობის დასახასიათებლად შევეხები პარლამენტისა და მთავრობის საკანონმდებლო მოწესრიგებას. კონსტიტუციაში წარმოდგენილია საკანონმდებლო ხელისუფლების განმახორციელებელი ორგანოს— საქართველოს პარლამენტის ორი მოდელი. ერთია ამჟამად მოქმედი ერთპალატიანი პარლამენტი. პერსპექტივაში კი, კონსტიტუციის მე-4 მუხლის მიხედვით, „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი პირობების შექმნისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირების შემდეგ საქართველოს პარლამენტის შემადგენლობაში იქნება ორი პალატა: რესპუბლიკის საბჭო და სენატი“. აქვეა განსაზღვრული ამ არარსებული პალატების შემადგენლობა. ყოველივე ეს იმას მიგვანიშნებს, რომ კონსტიტუციის მთელი მე-3 თავი („საქართველოს პარლამენტი“) დროებითი, გარდამავალი ხასიათისაა და „შესაბამისი პირობების შექმნის შემდეგ“ შეიცვლება. ასევე, კონსტიტუციის სათანადო მუხლებში იხსენიება მთავრობა, მაგრამ მკრთალადაა გამოსახული მისი სტატუსი, ფუნქციები და საერთოდ ადგილი აღმასრულებელი ხელისუფლების სისტემაში. სავარაუდოა, რომ ეს ხარვეზი მიმდინარე კანონმდებლობის სპეციალური აქტის შემუშავებისა და მიღების გზით შეივსება.

— რას იტყოდით სამართლებრივ სახელმწიფოში პარლამენტის როლზე?

— პარლამენტი სამართლებრივ სახელმწიფოში საგანგებო ყურადღებას იქცევს იმ თვალსაზრისით, რომ იგი არის კანონის მიმღები ერთადერთი ორგანო. კანონის როლისა და მნიშვნელობის წარმოსადგენად კი საკმარისია გავიხსენოთ ი. კანტის გამონათქვამი, რომ სახელმწიფო არის სამართლიანი კანონებისადმი დაქვემდებარებული ადამიანების გაერთიანება. კანონის ფორმა ყოველთვის როდი ნიშნავს მის სამართლიანობას. მაგალითისათვის საკმარისია ითქვას, რომ ფაშისტური ხელისუფლებაც კანონის საფუძველზე და მისი მეშვეობით ხორციელდებოდა. ცხადია, სამართლებრივი სახელმწიფო არა ისეთ, არამედ სამართლიან კანონებს გულისხმობს, ხოლო ამგვარი კანონმდებლობის შექმნა კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს.

ვფიქრობ, მართებულად ვერ ჩაითვლება ის გარემოება, რომ კონსტიტუციის 74-ე მუხლის მე-2 პუნქტის ძალით, „არ შეიძლება რეფერენდუმის მოწყობა კანონის მისაღებად ან გასაუქმებლად“. საკანონმდებლო რეფერენდუმი ფართოდაა გავრცელებული და ძნელია მისი უარყოფის დასაბუთება. აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ კონსტიტუციის მიხედვით პრეზიდენტიც ვერ მოახდენს ქმედით გავლენას საკანონმდებლო პროცესზე. მას მხოლოდ შეყოვნებითი ვეტოს უფლება აქვს. პრეზიდენტს შეუძლია უკანვე დააბრუნოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტი. თუ პარლამენტი ხმების განსაზღვრული რაოდენობით კვლავ მიიღებს კანონპროექტს, ამით პრეზიდენტის ვეტო დაძლეული იქნება. თუკი ამის შემდეგ პრეზიდენტმა დადგენილ ვადაში არ გამოაქვეყნა კანონი, მას ხელს აწერს და აქვეყნებს პარლამენტის თავმჯდომარე (მუხ. 68). სარეფერენდუმო წესის არარსებობის პირობებში ამან შეიძლება „უმრავლესობის დესპოტიზმამდეც“ კი მიიყვანოს სუსტი დემოკრატიული ტრადიციების მქონე ქვეყანა.

საკანონმდებლო სფეროში სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე დასაძლევია რამდენიმე ძნელად გადასაწყვეტი პრობლემა. მარტო ის რად ღირს, რომ კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში პრეზიდენტმა და პარლამენტმა უნდა უზრუნველყონ მანამდე მიღებული ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეგისტრაცია, კონსტიტუციასთან და კანონებთან მათი შესაბამისობა, ხოლო პარლამენტმა უნდა მიიღოს კონსტიტუციით გათვალისწინებული ორგანული კანონები. საკანონმდებლო ხელისუფლებას ხშირად უპირისპირდება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, რაც ზოგჯერ ფიქციად აქცევს კანონის უზენაესობას და მთლიანად სამართლებრივი სახელმწიფოს იდეას. შეუძლებელია კანონის უზენაესობის უზრუნველყოფა ისე, თუ არ გაუმჯობესდა ნორმატიული აქტების ხარისხი, თუ სრულიად ახლებურად არ იქნა გააზრებული კანონპროექტების მომზადების პროცედურა და მთელი საკანონმდებლო პროცესი. მისაღებია წესი, რომ თუ ნორმატიული აქტი არ გამოქვეყნდა საყოველთაოდ ხელმისაწვდომ გამოცემაში, მისი დარღვევისათვის ადამიანს არ უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა. კანონის ენა უნდა იყოს ყველასათვის გასაგები, ზუსტად და ნათლად გამოხატავდეს კანონმდებლის აზრს.

სამართლებრივი სახელმწიფოს აუცილებელი ატრიბუტია კონსტიტუციის დარღვევის აღკვეთის მექანიზმი, რასაც მომავალში, იმედია, უზრუნველყოფს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ პროკურატურა ამიერიდან იქნება სასამართლო ხელისუფლების დაწესებულება.

— ცხადია, ახალ კონსტიტუციას სჭირდება შესწავლა და ფართო განმარტება. ამ მხრივ რას დაუმატებდით ჩვენს საუბარს?

— სამართლებრივი სახელმწიფო წარმოუდგენელია სახელმწიფო აპარატის მუშაკებისა და მთელი მოსახლეობის პოლიტიკურ-სამართლებრივი კულტურის გარეშე. ამ მიზნით სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში და ყველა სახის უმაღლესი სასწავლებლის არაიურიდიულ სპეციალობებზე შემოღებულია საგანი „საქართველოს კონსტიტუცია“. ჩვენ მზად ვართ შევადგინოთ ამ საგნის სწავლების პროგრამა, განვსაზღვროთ მისი თემები და ძირითადი საკითხები.

ესაუბრა
გივი ჩიქვინიძე.

საქართველოს სატრანსპორტო სისტემა აღორძინების გზაზე

ჩვენთვის ცნობილია, რომ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით შეიქმნა ტრანსპორტის სახელმწიფო საკოორდინაციო საბჭო, რომელშიც შევიდა ქვეყნის ოთხივე (საავტომობილო, საჰაერო, რკინიგზის, ნაოსნობის) სატრანსპორტო დეპარტამენტი, საავტომობილო გზების კონცერნი და რესპუბლიკის სპეცტრანსპორტის უწყება. ამასთან დაკავშირებით, საქინფორმის კორესპონდენტმა მთელი რიგი კითხვებით მიმართა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, რკინიგზის ტრანსპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელს აკაკი ჩხაიძეს, რომელიც რესპუბლიკის პარლამენტმა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე დაამტკიცა.

ინტერვიუ

— რით არის გამოწვეული ამ საბჭოს შექმნა?

— საბჭო, — თქვა მან, — უნდა ახორციელებდეს სახელმწიფო პოლიტიკას ყველა სახეობის ტრანსპორტის ჩამოყალიბებისა და განვითარების კოორდინაციის საქმეში, ამასთან, მაქსიმალურად გამოიყენოს საქართველოს მაგისტრალური არტერიების სატრანზიტო ხასიათი. მისი შექმნა ნაკარნახევია საარსებო საჭიროებით. ტრანსპორტის ხელმძღვანელობა ერთ სახელმწიფო „ხელში უნდა იყოს“. რესპუბლიკაში არსებული ყველა სახეობის ტრანსპორტის ჩამოყალიბებასა და განვითარებას ერთიანი ურთიერთდაკავშირებული ხასიათი უნდა ჰქონდეს. სადღეისოდ უკვე შევქმენით ერთობლივი სატრანსპორტო ცენტრები ბულგარეთში (საზღვაო ნავსადგური ბურგასი) და აზერბაიჯანში (ბაქო), სადაც მუშაობენ ჩვენი წარმომადგენლები რესპუბლიკის საზღვაო ნავსადგურების მეშვეობითა და მისი ტერიტორიის გავლით ტვირთზიდვის ორგანიზაციის მიზნით. ამ თაოსნობით ვაპირებთ მაქსიმალურად გამოვიყენოთ ჩვენში არსებული საზღვაო, სარკინიგზო, საავტომობილო და ავიატრანსპორტი. ამასთან დაკავშირებით აღვნიშნავ, რომ უკვე მოქმედებს საბორნე გადასასვლელი „ფოთი-ბურგასი-ფოთი“. გაიხსნება „ბურნნაიას“ გადასასვლელი ნოვოროსიისკიდან ფოთში, აგრეთვე საკაბელო კავშირი რუმინეთის კონსტანცის ნავსადგურთან.

— დაიწყო თუ არა საქართველოს რკინიგზების განახლება?

— რა თქმა უნდა. ეს მიმდინარეობს რკინიგზის ტრანსპორტის დეპარტამენტის სახსრებით. ვცვლით განძელებს, ლიანდაგებს, აღვადგენთ გაფუჭებულ საკონტაქტო ქსელს. ჩვენში არსებული თბომავლების მეშვეობით 1800-დან 5 და მეტ ათას ტონამდე გავზარდეთ რკინიგზის შემადგენლობების ტვირთამწეობა. ამის მეოხებით ჩვენი რკინიგზის გამტარუნარიანობამ უკვე სამ მილიონ ტონა ტვირთს მიაღწია წელიწადში. მომავალი წლის დამლევისათვის ვაპირებთ ეს მაჩვენებელი 10 მილიონ ტონამდე გავზარდოთ. ყოველივე ამან დეპარტამენტს შესაძლებლობა მისცა ყოველდღე მიიღოს დაახლოებით 250 ათასი ამერიკული დოლარი მოგება, რაც ფაქტობრივად ამ მაჩვენებლის ოცგზის გადიდებას ნიშნავს. ყოველდღიურად საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს ამის ხარჯზე შემატება რამდენიმე მილიონი ამერიკული დოლარი. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ რკინიგზის დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელობა თავის მოვალეობებს კეთილსინდისიერად არ ეკიდებოდა, ძირითადად სხვადასხვა სამშენებლო ორგანიზაციების დაახლოებით 18 მილიონი დოლარი ვალი დაედო. პრაქტიკულად აღდგენილია ყველა მატარებლის მიმოსვლის გრაფიკები და მარშრუტები. ახალი ვაგონები გაგვყავს თბილის-ბათუმ-თბილისისა და თბილის-ქუთაის-თბილისის სამგზავრო მარშრუტებზე.

სასიხარულოა აღინიშნოს, რომ მოკლე ხანში ჩვენმა მშენებლებმა შეძლეს აღედგინათ ნატანების რკინიგზის ხიდი და ხაშურ-ლიხი-წიფის გადასარბენები. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ ფოთიდან თუ ბათუმიდან ბეიუკ-კიასიკამდე ნებისმიერი შემადგენლობის მატარებლების დრო შემცირდა 15 დღე-ღამიდან ერთ დღე-ღამემდე. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ თითქმის ვიცავთ ჩვენს მიერ დაწესებულ სამგზავრო მატარებლების მიმოსვლის გრაფიკს. ცისტერნების პარკის გადიდების მიზნით კი ვიყენებთ სხვადასხვა კომერციულ ფირმებს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. ისინი ცისტერნებს ყიდულობენ და იჯარით გვაძლევენ. ჩვენ კი მათ მათი გამოყენების ხარჯზე მოგების 25 პროცენტამდე ვურიცხავთ. ჩვენი გამოანგარიშებით, წელიწადისა და ორი თვის მანძილზე მათ ორმაგად შეუძლიათ აინაზღაურონ დანახარჯები. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ შემდგომში ამგვარი გარიგებებისათვის მიიღებენ მხოლოდ წმინდა მოგებას. სხვათა შორის, ბათუმისა და ფოთის ნავსადგურებში უკვე შემოვიდნენ ბენზინითა და შაქრით დატვირთული გემები, რომლებიც საქართველოსათვის არის განკუთვნილი. ჩვენ უკვე მზად ვართ რკინიგზით მათი ინტენსიური გაზიდვა-დაცლისათვის.

— როგორია საქართველოსა და მეზობელ სახელმწიფოთა სარკინიგზო უწყებების ურთიერთობა?

— ახლახან ბაქოს ვეწვიეთ და იქ შევხვდით აზერბაიჯანის რკინიგზის ხელმძღვანელობას. აგრეთვე ამ რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ ჰეიდარ ალიევს. მოლაპარაკების პროცესში შევთანხმდით — ყოველი გადაზიდული ტონა ტვირთისათვის გადავიხდით არა 11 დოლარს, როგორც ეს წინათ იყო, არამედ 6 დოლარს. აზერბაიჯანელი კოლეგები ძალიან არიან დაინტერესებული ჩვენი რესპუბლიკის გაელით სატრანზიტო რკინიგზის არტერიის განვითარებით. რაც შეეხება საერთაშორისო კონსორციუმისათვის მოწყობილობისა და მასალების მიწოდებას, [illegible] უკვე [illegible] ძვრები — ჩვენი [illegible] ნავსადგურების მეშვე[illegible] [illegible] ინტენსიური [illegible] ჩვენთან ურთიერთობ[illegible] [illegible] ასევე დაინტერესებული არიან სომხეთის, რუსეთისა და უკრაინის რკინიგზელები.

რეგიონალურ კონტროლის პალატაში

არც ქვეყანა ზარალობდეს არც დამნაშავენი მრავლობდნენ

ხშირად მიფიქრია, კონტროლის რაიონული რგოლის გაუქმებამ და რეგიონული სტრუქტურის შექმნამ საქმე ხომ არ აზარალა? პირველ რიგში ამით დავინტერესდი, როცა სასაუბროდ ქვემო ქართლის რეგიონის კონტროლის პალატის თავმჯდომარეს გურამ გაბუნიას შევხვდი.

— **საქმეს** კი არ იზარალა, — მითხრა ბატონმა გურამმა, — პირიქით, მოიგო. რაიონული კონტროლის პალატები, სადაც 3-4 კაცი მუშაობდა, პრაქტიკულად ვერაფერს აკეთებდნენ, ახლა ჩვენ შტატში გვყავს კვალიფიციური სპეციალისტები — ინჟინრები, ეკონომისტები, ბუღალტრები, საფინანსო დარგის გამოცდილი მუშაკები, რაც საშუალებას გვაძლევს ნებისმიერ დროს შევქმნათ 15-20 კაციანი ჯგუფი და ჩავატაროთ დოკუმენტური რევიზია.

— კარგია, რომ შემოწმებას პროფესიონალები ატარებენ, მაგრამ ამ საქმეს მარტო კვალიფიკაცია რომ არ ყოფნის?

— ვიცი, რასაც მეკითხებით, როცა მუშაკებს ვღებულობდით, პროფესიონალიზმთან ერთად მათ პატიოსნებასაც ვითვალისწინებდით.

— და მაინც პატიოსნება, ალბათ, მატერიალური კეთილდღეობით უნდა იყოს გარანტირებული!

— ასეც არის. ჩვენი მუშაკები ხელფასის გარდა ბიუჯეტში დამატებით ჩარიცხული თანხის 15 პროცენტს იღებენ პრემიად. შარშან ამიანად თითოეულის ანაზღაურებამ, თვეში საშუალოდ 400 ლარი შეადგინა. დღევანდელ გასაჭირში კაცი როცა ამდენს იღებს, შეუძლია მორალურად მტკიცე იყოს და ცდუნებას არ აჰყვეს.

— შესამოწმებელ ობიექტებს რის მიხედვით არჩევთ?

— ჩვენ წინასწარ ვადგენთ წლიურ სამუშაო გეგმას (მას თან ერთვის შესამოწმებელი ობიექტების ნუსხა), რომელსაც ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან ვათანხმებთ. ეს საშუალებას გვაძლევს, ჯერ ერთი, ქალაქის მერიასთან, რაიონულ გამგეობებთან ვითანამშრომლოთ, და მეორეც, საწარმო-ორგანიზაციებისათვის რევიზია მოულოდნელი არ იყოს. თუ ხელმძღვანელი გონიერია, ასეთ პირობებში იგი არა მარტო მოემზადება შემოწმებისათვის, არსებულ დარღვევებსაც გამოასწორებს.

დავინტერესდი რეგიონული პალატის საკონტროლო საქმიანობით და ჩატარებული რევიზიების მასალებში ჩავიხედე. მას მეურნეობისა და ცხოვრების თითქმის ყველა დარგი — მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, ენერგეტიკა, ჰუმანიტარული დახმარება, სოციალური აღრიცხვები — მოიცავს.

დარღვევები თუ აღმოჩნდა? რამდენიც გნებავთ.

ქვეყანაში არეულობა და ქაოსი ბევრმა თავისი ინტერესებისათვის გამოიყენა და საქართველოდან უცხოეთში არა მარტო ხე-ტყე, რკინა და ჯართი, არამედ ოქრო, ვერცხლი და სხვა ძვირფასი ლითონებიც გაზიდა. კონტროლის პალატის მიერ ჩატარებულმა რევიზიამ ამის ფაქტები მადნეულის გადამამუშავებელ კომბინატშიც გამოავლინა. კომბინატს კაბალური ხელშეკრულება ჰქონდა დადებული შვეიცარიულ ფირმებთან. მათ მადნეულიდან გადასამუშავებლად გაჰქონდათ კონცენტრატები, რომლიდანაც იღებდნენ ოქროს, ვერცხლს, სპილენძს და ნახევარ ფასად ყიდულობდნენ. ეს კეთდებოდა საწარმოს ხელმძღვანელთა (ყოფილი დირექტორი — გ. ტაბატაძე) ინიციატივით, უკანონოდ (ძვირფასი ლითონები წესით ეროვნულ ფასეულობათა ფონდს უნდა ჩაბარებოდა), რის გამოც სახელმწიფო ბიუჯეტმა 1 მილიონი დოლარი იზარალა. ამას სხვაც დაემატა — კომბინატის თავკაცმა ხელშეკრულების საფუძველზე მაშველთა კორპუსს უკანონოდ 41 ათასი დოლარი ჩაურიცხა, თანაც ივალდებულა მათთვის წლიური მოგების 4 პროცენტიც ეჩუქებინა. კონტროლს ხელი რომ არ შეეშალა, ეტყობა ამ გარიგებასაც არ უღალატებდა.

ისევე, როგორც ყველა უკეთური საქმიანობა, ესეც დრამატულად დასრულდა. დირექტორი თანამდებობიდან გადააყენეს და საქმე ძიებისათვის სამართალდამცავ ორგანოებს გადასცეს. ზარალი? მის ასანაზღაურებლად საწარმოს ბიუჯეტის სასარგებლოდ 3 მილიონ დოლარზე მეტი დაერიცხება.

დიდი დარღვევები აღმოჩნდა საწარმოო გაერთიანება „აზოტში“, იმდენად დიდი, რომ შემოწმების პროცესში კონტროლის პალატასთან ერთად უშიშროების სამსახურიც ჩაერთო. მაინც რას აკეთებდნენ? ფასების მანიპულაციით შემოსავლებს ხელოვნურად ამცირებდნენ, თანხებს მალავდნენ, რითაც სახელმწიფოს დიდ ზიანს აყენებდნენ. ეს ყველაფერი დოკუმენტურად დაფიქსირდა და საწარმოს ბიუჯეტისათვის 3,5 მილიონი ლარის გადახდა დაეკისრა.

სხვადასხვა უხეში დარღვევისათვის ბიუჯეტის სასარგებლოდ 600 ათასი დოლარია ამოღებული რუსთავის მეტალურგიული კომბინატიდან. ეს შარშან, მაგრამ ამ საწარმოში დოკუმენტური რევიზია ახლაც მუშაობს. კონტროლის პალატის თავმჯდომარემ მოვლენების წინასწარი შეფასებისგან თავი შეიკავა და, ალბათ, სამართლიანადაც. დამთავრდება რევიზია და შედეგებზე მერე ვილაპარაკოთ.

— როგორი სურათია სოფლის მეურნეობაში?

შარშან რეგიონის რაიონებში არაერთი მეურნეობა შეამოწმეს და დარღვევები თითქმის ყველგან გამოავლინეს. მეურნეობებში მთლიანად ლიკვიდირებულია მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, კატასტროფულად მცირდება კულტურათა თესვა და იქიდან მიღებული მოსავალი, რეალიზებული პროდუქციიდან ამონაგები თანხები არ შედის საბანკო დაწესებულებებში, არც მეურნეობათა სალაროებში და ისინი ფაქტობრივად ნიავდება. ქაოსია საწვავ-საცხები მასალების მიღების, შენახვის, გაცემისა და აღრიცხვის საქმეში. ამ და სხვა დარღვევებისათვის თანამდებობიდან განთავისუფლდა 6 მეურნეობის დირექტორი, ხოლო შემოწმების მასალები გადაეცა პროკურატურას.

დღეს ყველაზე მეტად ენერგოკრიზისი ღრღნის ქვეყანას, უჭირს ხალხს და ასეთ სიტუაციაშიც გვხვდებიან საწარმოები (დიდიც და პატარაც), კერძო ფირმები, პირები, რომლებიც უსირცხვილოდ იპარავენ დეფიციტურ ენერგიას, ხარჯავენ ბევრს და იხდიან მცირედს. წარმოიდგინეთ, ქვემო ქართლის ელექტროქსელების საწარმო, იმის მაგივრად, რომ ასეთ დარღვევებს შებრძოლებოდა, პირიქით, თვითონ უწყობდა ხელს — ელექტროენერგიის დანახარჯებს ხელოვნურად ამცირებდნენ რითაც ზარალდებოდა სახელმწიფო, აქ შემოწმებით 2,1 მილიონი ლარის ღირებულების გადასახადის შემცირების და აღურიცხავ მატერიალურ ფასეულობათა ფაქტები გამოვლინდა.

ასეთი მანიპულაციების მიუხედავად, ქვემო ქართლში დიდია (6,5 მილიონი ლარი) ენერგოდავალიანება. ამაში არ შედის გაერთიანება „აზოტი“, რომელსაც 3 მილიონი ლარი ვალად აწევს, ყოველთვიურად კი 1 მილიონი ლარის ენერგიას ხარჯავს. რა უნდა იღონონ? რესპუბლიკური საგანგებო ენერგეტიკული კომისიის კვალობაზე შექმნილია რეგიონული სამუშაო ჯგუფი (ხელმძღვანელი — გ. გაბუნია), რომელიც დავალიანების ამოღებას ძალისხმევას არ აკლებს. მიმდინარეობს მუშაობა იმისათვის, რომ საწარმოებმა ვალი ნატურით (საკუთარი პროდუქციით) მაინც გაისტუმრონ.

და მაინც, ამ დარღვევათა შორის ყველაზე მეტად აღმაშფოთა ექიმის ხელმრუდობამ, რომელიც მარნეულის სამშობიარო სახლში გამოვლინდა. აქ ჰუმანიტარული დახმარებით მიღებულ ნობათს — 2430 კილოგრამი რძისა და 1330 კილოგრამი სიმინდის ფხვნილის ნაზავს მისამართი შეუცვალეს და ახალშობილთა ნაცვლად თანამშრომლებს დაურიგეს (ჩამოწერის შემდეგ). მიზეზი? ფხვნილი ვადაგასული იყო და ჩვილების საკვებად არ გამოდგებაო. დავიჯეროთ, სამშობიაროს გულჩვილი მუშაკები სხვისი შვილების ჯანმრთელობაზე ზრუნავდნენ და საკუთარისაზე — არა?! ასეა თუ ისე, ჩამოწერილი პროდუქტების თანხა სახელმწიფო ბიუჯეტს გადაერიცხება, ხოლო ბრალეულთა საკითხს პროკურატურა გაარკვევს.

— შარშან სულ რამდენი საქმე გადაეცა პროკურატურას? — ვეკითხები კონტროლის პალატის თავკაცს.

— 32 საქმე, ბიუჯეტის სასარგებლოდ დარიცხულია 6 მილიონზე მეტი ლარი და 600 ათასი დოლარი.

— კონტროლის ენაზე ეს მაჩვენებელი კარგია თუ ცუდი?

— კარგიც და ცუდიც. რა თქმა უნდა, კარგია, რომ სახელმწიფო დაკარგულ თანხებს იბრუნებს, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ასეთი დარღვევები და დამახინჯებები არ ხდებოდეს, — არც ქვეყანა ზარალდებოდეს და არც დამნაშავენი მრავლობდნენ.

— ასეთი მომრავლების მიზეზად რა მიგაჩნიათ?

— ქაოსი, უკონტროლობა და განუკითხაობა, რომლებიც ჩვენს საზოგადოებაში უკანასკნელ წლებში გაბატონდა, განსაკუთრებით საგანგაშო ის არის, რომ სამეურნეო დარღვევა-დანაშაულთა 80 პროცენტი საწარმო-ორგანიზაციათა ხელმძღვანელების თაოსნობით ხდებოდა.

— ამ მხრივ ასეთი ტენდენცია თუ იგრძნობა?

— როგორ არა. ვერ ვიტყვი, რომ სამეურნეო-საფინანსო საქმიანობაში დარღვევები მკვეთრად მცირდება, მაგრამ სარევიზიოდ მისულ კონტროლიორებს საწარმოთა დირექტორები იარაღის მუქარით რომ აღარ ხვდებიან, ესეც მიღწევად მიმაჩნია.

პალატის თავკაცის ნათქვამი კეთილად მენიშნა. როცა ხელმძღვანელმა იცის, რომ მის საწარმოში დაგეგმილი რევიზია მიდის, რომელსაც იარაღით უკან ვერ გააბრუნებს, ის დარღვევებს ნაკლებად გარისკავს ან მასზე სულაც ხელს აიღებს.

ქვეყანაში ძნელად, მაგრამ კანონიერება და წესრიგი მაინც მკვიდრდება. ერთი მათგანია ცივილიზებული კონტროლის ფორმები. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ საქართველოს კონტროლის პალატა საერთაშორისო კონტროლის პალატის წევრი გახდა, ხოლო საერთაშორისო ფინანსების მართვისა და მენეჯმენტის კონსორციუმის წევრად ბატონ რევაზ შავიშვილთან ერთად მიხეილ ჩიკვილაძე, გურამ გაბუნია და საქართველოს კონტროლის პალატის კიდევ სამი წარმომადგენელი მიიღეს.

ეს უკვე აღიარებაა და ისიც, სანუგეშოა, რომ ქართველი კონტროლიორები ამიერიდან წარმატებით ითანამშრომლებენ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ქვეყნის აღმშენებლობისათვის ბრძოლაში შეიძენენ მდიდარ გამოცდილებას.

ოთარ ხუციშვილი.
ქ. რუსთავი.

სარედაქციო ფოსტიდან

● მკითხველი მადლიერია

წმინდა სამება იყოს მფარველი

ამ ოთხიოდე წლის წინათ აშენდა გლდანის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია. იგი ძლევამოსილი ლომისის წმინდა გიორგის უშუალო მფარველობითაა აგებული.

ეკლესია, როგორც ცნობილია, ქრისტეს სხეულია და მისი შემადგენელი ნაწილები ადამიანები არიან. სწორედ ამგვარი ღირსეული წევრები ვპოვე მე, ლომისის წმინდა გიორგის ტაძარში გამწესებულმა მღვდელმა, და ამის გამო უფლის უსაზღვროდ მადლიერი ვარ. მკითხველი იტყვის, სად არ არის ღირსეული მართლმადიდებელი მრევლიო? ის ბევრგან არის, მაგრამ მე მართლმადიდებელთა სულიერი მღვიძარების ამ კერძო შემთხვევას მოგახსენებთ. მართლაც რომ გასახარელია მოძღვრისთვის, რომ მისთვის ახლახან მინდობილი „ცხოვართა ფარა“ საგანგებო სიფხიზლეს იჩენს უფლის მადლის მოსაპოვებლად.

დაუღალავია ამ პატიოსან მორწმუნეთა ზრუნვა ეკლესიისთვის. როგორც თავად ტაძარი, ისე მისი ეზო-კარი საშურად არის მოვლილი: სისუფთავე, ნელ-სურნელება და ნაირ-ნაირი ყვავილი, რომლითაც მრევლი ამკობს თავის ეკლესიას, მართლაც, განსხეულებაა ღვთის სასურველი მშვენიერებისა. არ აკლია ეკლესიას არც უხვი შესაწირი და ეს ყოველივე კეთდება თავმდაბლად, უჩუმრად, საკუთარი ღვაწლის გახმიანების გარეშე.

ქრისტიანი მუდამჟამს უფალს უნდა მადლობდეს. გლდანის მორწმუნეებს ეს კარგად აქვთ გაგულისხმიერებული. ისინი წმინდა ლიტურგიაზე გულწრფელ მადლობას სწირავენ მაღალ ღმერთს, დიდმოწამე წმინდა გიორგის და ტაძრის მაშენებელს — უწმინდესსა და უნეტარესს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, დიდსა მეუფეს, მამასა ჩვენსა ილია II-ს, რომლის ლოცვა ისმინა უფალმა და შთააგონა მას აეგო მისი შემწეობითა და ერის შემონაწირით ლომისის წმინდა გიორგის თანაზიარი ტაძარი გლდანის მოსახლეობისათვის.

ყოველ განსაცდელში მყოფთა ხელისამპყრობელი, მოწყალე დიდმოწამე წმინდა გიორგი იყოს კეთილმორწმუნეთა მეოხი უფლის წინაშე. წმინდა სამება იყოს მათი საუკუნო მფარველი ორივე სოფლად.

არქიმანდრიტი
იოაკიმე (ასათიანი),
გლდანის ლომისის წმინდა გიორგის ეკლესიის წინამძღვარი.

როცა ზღვარი იშლება

ადამიანის ცხოვრებაში არის წუთები, როცა სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის ზღვარი თითქმის იშლება, მაგრამ ქვეყნად რა გამოლევს ბუნებით ექიმის მირონცხებულ, ნიჭით დაჯილდოებულ ღვთისნიერ, ოქროსხელებიან დასტაქრებს, რომელთა ეტალონად მე და ჩემს ოჯახს ღვთიურ არსებად მოევლინა თბილისის კარდიოქირურგიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე პროფესორი ვიქტორ გეტმანსკი. ამ განყოფილების ყველა ექიმი და მთელი პერსონალი.

ბატონმა ვიქტორმა ჩემს 28 წლის შვილს თემურს სიცოცხლე აჩუქა — გაუკეთა ურთულესი ოპერაცია გულზე.

ვარ უბედნიერესი დედა, მინდა ხმამაღლა ვთქვა, ქვეყანამ გაიგოს: დღეს ჩემი თემური ცოცხალია, ჩვეულებრივად დადის, მესაუბრება. სიკვდილის შემზარავი ურჩხული ბატონ ვიქტორის ხელით დამარცხდა.

თქვენი გაზეთის საშუალებით მსურს უღრმესი მადლობა გადავუხადო ბატონ პროფესორს, მკურნალ ექიმს ბატონ კახაბერ გიგილაშვილს, რეანიმაციის და კარდიოქირურგიის განყოფილების ყველა მუშაკს, რომლებმაც უძილო ღამეები უთიეს ჩემს შვილს თემურს, ხოლო ჩემს შვილიშვილებს თამაზს, თეონას და ბაჩუკის, მეუღლეს — დარიკოს მამა და მეუღლე აჩუქეს. ჩემს შვილებს თამროსა და თინოს — საყვარელი ძმა გადაურჩინეს. ასევე უღრმეს მადლობას მოვახსენებთ აჭარის რესპუბლიკის ხელმძღვანელს ბატონ ასლან აბაშიძეს, აგრეთვე მურმან ბერიძეს, გურამ შარაძეს. ქალბატონ ცისანა ანთაძეს და სხვებს.

ჩემი მთლიანი სანათესაო ქედს იხრის თქვენს წინაშე, ხელმადლიანო დასტაქარო, და გისურვებთ დიდხანს, დიდხანს სიცოცხლეს ყველა ავადმყოფის გასახარად.

მშობლები
ბეჟან მიქელაძე,
ვარდო ხილაძე,
მეუღლე
დარიკო დიასამიძე.
ქ. ბათუმი

● მკითხველი შენიშნავს

ჩვენი ბოლო იმედი

ახლა, როცა საქართველოს პარლამენტი ავირჩიეთ და შედარებით სტაბილიზაციაა, ვბედავთ ჩვენს გასაჭირზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა.

ალბათ, ყველას გაუგონია კურორტი „ურეკი“, სადაც შედარებით მხოლოდ ზაფხულში თუ იგრძნობა ცხოვრების სიკეთე, ახლა კი აქ აუტანელი მდგომარეობაა, არსებობის ელემენტარული პირობები არაა. მთელი კვირაობით არა გვაქვს ელექტროენერგია, ვერ ვისმენთ ტელერადიო გადაცემებს, რაც ხელს უწყობს დეზინფორმაციის გავრცელებას. ვერ ვფქვავთ სიმინდს, ცხადია, არ ძალგვიძს კომერციული ფქვილის ყიდვა.

თუ კი სახელმწიფოს არ გააჩნია ფურნის ამუშავების საშუალება, ხომ შეიძლება თვეში ერთხელ მაინც დაგვირიგდეს ნორმირებული ფქვილი წესიერ ფასებში?

შარშანდელმა ცუდმა ამინდმა — გამუდმებულმა წვიმებმა მოსავალი დაგვიღუპა, აღარა გვაქვს სურსათის მარაგი და არც პირუტყვისა და ფრინველის გამოსაზამთრებელი საკვები.

ტრანსპორტის უქონლობის გამო ვერ მუშაობს ფოსტა-ტელეგრაფი, რამაც, ფაქტობრივად, მოგვწყვიტა შორს მცხოვრებ ნათესავ-მეგობართ, ვერ ვიზიარებთ მათ ჭირსა და ლხინს.

ინსტანციებში სირბილით დაღლილებს, ბოლო იმედიღა გვრჩება — თქვენი რედაქცია, რათა გააცნოთ ყველას ჩვენი პრობლემები, რათა არ დაგვეკარგოს ნორმალური ცხოვრების იმედი.

ოლია პანტელეევა,
პანსიონატ „მთის ბროლის“ თანამშრომელი;
ნუგზარ დვალიშვილი,
პედაგოგი.

წერილების მერე

„ვისია, ვისია?“

რედაქციას უპასუხებს გლდანის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე თ. შეშელიძე:

თქვენი გაზეთის 1995 წლის დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებული წერილი სათაურით „ვისია, ვისია?“-ს გამო, გაცნობებთ, შემდეგს: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1995 წლის 4 მაისის დადგენილებით „საწვავ-საპოხი მასალებისა და სხვა საქონლის სარეალიზაციო ობიექტების მოსაწყობად მიწის ნაკვეთების დამაგრების შესახებ“ ბავშვთა საკალათბურთო კლუბ „არწივს“ ავტოგასამართი სადგურის მოსაწყობად მიეცა გაზეთის ფოტოზე აღბეჭდილი მიწის ნაკვეთი, რის საფუძველზეც დამუშავდა სათანადო საპროექტო დოკუმენტაცია.

რაც შეეხება ლითონის ავზების ფლობის კანონიერებას, რაიონის გამგეობის მოთხოვნის საფუძველზე სააქციო საზოგადოება „ვაგის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, იგი წარმოადგენს საზოგადოების კუთვნილებას და შეძენილია 1988-90 წლებში, ხოლო მისი კავშირი ბავშვთა საკალათბურთო კლუბ „არწივთან“ ფიქსირებულია 1995 წლის 8 მაისს, დადებული ხელშეკრულებით, რის საფუძველზეც სააქციო საზოგადოება „ვაგი“ ასრულებს ავტოგასამართ სადგურის მოწყობასთან დაკავშირებულ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს. ამრიგად, ყოველივე კანონის შესაბამისად არის განხორციელებული.

ამის გამო უმართებულოდ მიგვაჩნია საგაზეთო წერილში ფიქსირებული. რეპლიკა რაიონის გამგეობის მესვეურთა უყურადღებობის შესახებ — „გლდანის რაიონის მესვეურებმა მაინც მიაქციონ მას ყურადღება“, რეპლიკის იდეა ხომ სწორედ სტატიის ავტორის უყურადღებობით არის განპირობებული?!

აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი

კიდევ ერთი აღმაშფოთებელი ფაქტი

სამშვიდობო პროცესის ჩასაშლელად პროვოცირებული ბარბაროსული აქტი

ახალი, კვლავ აღმაშფოთებელი ცნობები მოვიდა აფხაზეთში მომხდარი სისხლისღვრის შესახებ — აფხაზმა ბოევიკებმა უმოწყალოდ დახოცეს უდანაშაულო, მშვიდობიან მოქალაქეთა ჯგუფი. მოხდა ქართველთა გენოციდის კიდევ ერთი უტყუარი ფაქტი, რომელიც გრძელდება სამშვიდობო ძალებისა და საერთაშორისო მეთვალყურეთა თვალწინ, მათი შემწყნარებლური და დამთმობი პოლიტიკის შედეგად სეპარატისტთა მიერ ადრე მიღწეული შეთანხმებების უხეში დარღვევებისა და დანაშაულებრივი ქმედებისადმი.

სამწუხაროა, რომ ყოველივე ეს რუსეთის საინფორმაციო წყაროების მიერ საზოგადოებრივი აზრის წინაშე წარმოჩენილია თითქოსდა ქართული მხარის მიერ მოსალოდნელი დივერსიულ-ყაჩაღური ქმედების საპასუხოდ, რასაც, თურმე ნუ იტყვით, და, ოფიციალური ორგანოებიც ვერ უარყოფენ.

ასეთი მტკიცებების ალოგიკურობა და აბსურდულობა სავსებით ცხადია, მით უმეტეს, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა მეთაურების მოსკოვის შეხვედრის წინ, რომლისთვისაც ჩვენი მხარე დიდი ხანია ემზადება, კონფლიქტის მოგვარებისათვის სათანადო წინადადებები და მოთხოვნები უკვე წარადგინა და ელის შესაფერის გადაწყვეტილებებს.

აფხაზური მხარის თავაწყვეტილი მოქმედება კონფლიქტის მოწესრიგების რეალური მოახლოების წინ, პირველი არაა. მათ ხელს აძლევს და ყველაფერს აკეთებენ, რათა გამძაფრდეს პოლიტიკური ატმოსფერო და ხელი შეეშალოს ისეთ შეთანხმებებს, რომლებიც წერტილს დაუსვამდნენ მათ განუკითხავ პარპაშს ამდენ ტანჯვა-წამება გადატანილ მიწაზე, რომელიც საკმაოდ მორწყულია ქართველთა და არამარტო ქართველთა ოფლითა და სისხლით.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.

პარლამენტის სადაგი დღეები

განიხილავენ ბიუჯეტის პროექტს

8 იანვარს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას ხელმძღვანელობით გაიმართა პარლამენტის ბიუროს სხდომა.

განიხილეს პარლამენტის პლენარული სხდომის დღის წესრიგთან დაკავშირებული საკითხები. საგაზაფხულო სესია მუშაობას დაიწყებს 6 თებერვალს, მანამდე გაიმართება საგანგებო სესია. პარლამენტარები განიხილავენ ბიუჯეტის პროექტს, კანონის პროექტს საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნისა და ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ, პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილ კანდიდატურას გენერალური პროკურორის თანამდებობაზე. დადგინდა საქართველოს პარლამენტში ბიუჯეტის განხილვის პროცედურა. ხაზგასმით აღინიშნა, რომ კანონშემოქმედების საქმიანობაში აუცილებელია განისაზღვროს პრიორიტეტები.

ბიუროზე ასევე განიხილეს პარლამენტის აპარატის სრულყოფასთან დაკავშირებული საკითხები.

დიდი ნავთობის მოლოდინში

იმედი რეალობად ვაქციოთ

კარგა ხანია ლანჩხუთის რაიონის ტერიტორიაზე ბურღვითი სამუშაოები მიმდინარეობს. ჯერ კიდევ 1961 წელს „საქნავთობის" ტრესტის კოლხიდის ბურღვის კანტორამ სოფელ ღრმაღელეში გახსნა უბანი და დაიწყო ჭაბურღილის მშენებლობა, რომელსაც გეგმით 5000 მეტრი უნდა გაებურღა. აღნიშნული ჭაბურღილი (ე. წ. „ხუთიათასიანი") სიახლეს წარმოადგენდა, რამაც კიდევ უფრო გააღვივა იმედები, მით უფრო, რომ ჩამოიყვანეს აზერბაიჯანელი სპეციალისტები, კერძოდ, ბურღვის ოსტატი, მბურღავები, ასე განსაჯეთ, კოლხიდის ბურღვის კანტორის მთავარ ინჟინრად დაინიშნა აზერბაიჯანიდან ჩამოყვანილი, საკმაოდ გამოცდილი სპეციალისტი. ერთხანს თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ დაგეგმილ სიღრმეს ვერ მიაღწიეს, ისე შეწყდა აღნიშნულ ჭაბურღილზე მუშაობა. წავიდნენ აზერბაიჯანელები, ჭაბურღილები კი, რომ იტყვიან, სოკოებივით ამოცენდა (ამჯერად ე. წ. სამიათასხუთასიანები) როგორც ღრმაღელეში, ისე ომფარეთში, ორმეთში, შრომისუბანში, ნიგვზიანში, ლესაში, მალთაყვაში, ურეკში, შრომაში. აღარაფერს ვამბობთ ჭალადიდზე, სადაც ბურღვის კანტორის დირექცია იმყოფებოდა, ასევე მიმდებარე ტერიტორიებზე — ხობში, ზუგდიდში, ოჩამჩირეში და სხვაგან, იზრდებოდა გეოგრაფია, მაგრამ ნავთობის მოპოვება უმნიშვნელო იყო.

რამდენიმე წლის განმავლობაში „საქნავთობის" დასავლეთ საქართველოს ბურღვის სამმართველოს სამოქმედო ტერიტორიებზე კრასნოდარელი ნავთობმომპოვებლებიც კი ჩამოიყვანეს, კვლავ მრავალი ჭაბურღილი დაიდგა, მაგრამ უშედეგოდ.

ამის გამო მოსკოვმა თანდათანობით შეამცირა თანხების გამოყოფა. რასაც პროპორციულად მოჰყვა სამუშაო მოცულობებისა და საშტატო ერთეულების შემცირება. ბოლოს ერთ დროს ძლიერი, სოლიდური ორგანიზაციის — სამმართველოს ნაცვლად მივიღეთ ექსპედიცია, უბანი. ასე თვალსა და ხელს შუა ჩაგვეშალა ყველა და ყველაფერი, დარჩა მხოლოდ მოგონებები. ჟამთა სვლამ თავისი მსახვრალი ხელი ტექნიკასაც დაატყო, ვინ რა დაიტაცა, ვინ რას ეზიდებოდა, ჩანაგდებოდა სახელმწიფო ქონება. საერთოდ შეწყდა სამუშაოები, ასობით ადამიანი დარჩა უმუშევარი.

ამ დროს გაისმა ხმა, ინგლისელები ჩამოდიან ნავთობის მოსაპოვებლადო. გაჩნდა ახალი იმედები, რომელიც მალე რეალობად იქცა. მართლაც, შეიქმნა ერთობლივი საწარმო, ქართულ-ბრიტანული ნავთობის კომპანია. დაიდო 25-წლიანი ხელშეკრულება, კომპანიის გენერალურ დირექტორად დაინიშნა ბატონი ნიკო თევზაძე. დირექციამ ბინა თბილისში დაიდო, ჭაბურღილის მშენებლობა კი სოფელ შრომისუბანში დაიწყო. ოფისი სოფელ სუფსაში აქვთ, საქმიანი ეზო და სხვა კომუნიკაციები — სოფელ ღრმაღელეში. ადრე მოპოვებულ ნავთობს ითვისებენ სოფელ ორმეთსა და ომფარეთში. წინააღმდეგობები მრავალია, თუმცა დაუძლეველი არაფერია, ბოლო დროს კომპანიის სუბანგარიში გაიხსნა ლანჩხუთის რაიონში. სამუშაოთა შესრულების შემდეგ რაიონს დარჩება თავისი საგადასახადო ხარჯები.

მკითხველისათვის საინტერესოა რა ხდება სოფელ შრომისუბანში — ჭაბურღილზე? ინფორმაციის სხვადასხვა წყაროთი ცნობილია, რომ ჭაბურღილმა გადაინაცვლა და ახალ ადგილზე უკვე გაბურღულია 3573 მეტრი, ამ სიღრმეზე ბურღვა შეწყდა და მიმდინარეობს ჭაბურღილის დამუშავება, გამოცდა. მისი დამუშავება, როგორც ბრძანა ფაგ პეტერსონმა, წარმოების დირექტორმა ბრიტანული მხრიდან, ახლახან განთავისუფლებული ჯეკ სტივენსის მემკვიდრემ, მოგვცემს ნათელ სურათს, თუ რა დებიტის რეზერვუართან გვაქვს საქმე. ბატონი ფაგ პეტერსონი 23 აგვისტოს შეუდგა ამ თანამდებობაზე მუშაობას. წარმოშობით შოტლანდიელი გახლავთ, განათლებით ინჟინერია, 27 წლის მუშაობის გამოცდილება აქვს ნავთობმოპოვებაში, უმუშავნია სხვადასხვა ქვეყანაში. საქართველოში პირველად არის, ასევე პირველად არის ჩვენთან წარმოების ინჟინერი ალან ტეილორი. ისინი საიამოვნო მოსაუბრენი, მაგრამ სიტყვაძვირნი არიან, ხელმოჭერილად იძლევიან ინფორმაციას, არაერთგზის იმეორებენ სიტყვა „რეზერვუარს", რომლის მოცულობის დადგენისათვის დიდი ინტენსივობით მიმდინარეობს სამუშაოები, დაკვირვებები, რათა დაზუსტდეს რეზერვუარის სიდიდე. სანამ არ დამთავრებულა ჭაბურღილის გამოცდა, ვერ ამბობენ, თუ რა რაოდენობის ნავთობის საბადოსთან აქვთ საქმე, თუმცა საუბარში მაინც ირკვევა, რომ დიდი დებეტის ნავთობს მოელიან. თუ რა რაოდენობისა და რა ხარისხის ნავთობი აღმოჩნდება, მასზეა დამოკიდებული მუშაობის შემდგომი გაგრძელება. სამუშაოების გაჭიანურება გამოიწვია რთულმა გეოლოგიურმა პირობებმა, რომელიც ჩამოსული სპეციალისტებისათვის უცნობი იყო. უკვე მიიღეს საჭირო და აუცილებელი ინფორმაცია, დააგროვეს მუშაობის გამოცდილება, რაც დიდ სამსახურს გაუწევს მათ შემდგომ მუშაობაში. დაიმედებული არიან, რომ შემდგომ ჭაბურღილებს უფრო სწრაფად გაბურღავენ და სასურველ სიღრმემდე ჩავლენ.

ჭაბურღილის დადგმას, დამონტაჟებას ვარაუდობენ 1996 წლის გაზაფხულისათვის, ვინაიდან ზამთარი მშენებლობისათვის არახელსაყრელად მიაჩნიათ, მით უფრო, რომ ყველა საჭირო მასალა დასავლეთ ევროპიდან შემოაქვთ, რაც დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ჭორები იმის თაობაზე, ინგლისელები მიდიანო, სინამდვილეს არ შეეფერება, მათ დაამთავრეს ჭაბურღილის გაბურღვა და არა მუშაობა. ამჯერად იმარაგებენ ნავთობის გასაზიდ მანქანებს, ადგილზე ამზადებს დიდი ტევადობის ცისტერნებს, შეაკეთეს გზები. მთავარი და სასურველი ყოველდღეა მოსალოდნელი.

თუ, მართლაც, ინება ღმერთმა და რამდენიმე დღეში შავი ოქრო ამოიფრქვა ლანჩხუთის რაიონში, ეს კიდევ ერთი დიდი და სერიოზული გამარჯვება იქნება, რამეთუ ნავთობია „პური ჩვენი არსობისა". იგი იქნება ქვეყნის და რაიონის არა მარტო ფულადი შემოსავლების წყარო. იმედას თვალით უცქერის რაიონი და არა მარტო რაიონი, ახალი სამუშაო ადგილების გამოჩენას, იმედია მათივე (კომპანიის) წესდების დარღვევით აღარ მოხდება კადრების დასაქმება.

ვფიქრობთ, აღნიშნულის გათვალისწინებით, ქართულ-ბრიტანული კომპანიის, როგორც ქართული, ისე ბრიტანული მხარეები, უფრო შეთანხმებულად, კოლექტიურად, შეძენილი გამოცდილების ურთიერთგაზიარების გზით იმუშავებენ ხალხისა და საქმის ინტერესების გათვალისწინებით, უკეთესი შედეგებისათვის, რაც, ალბათ, გარდუვალია.

გამოცდა, რომელიც მიმდინარეობს, წარმატებით უნდა ჩაბარდეს, წარმატება კი — დიდი ნავთობია!

ბადრი ქუთალაშვილი.
„ხრ" საკ. კორ.

აბჯარი

სამხედრო დისციპლინა ფორმიდან იწყება

სამხედრო დისციპლინის განმტკიცების საქმეში ერთიანი ფორმის ტანსაცმელს რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ეს კარგად იცის თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობამ. ამიტომაც იზრუნეს მის შექმნაზე, რომლის ნიმუშები შარშან სამხედრო ნაწილების მეთაურთა, ცენტრალური აპარატის სამმართველოებისა და განყოფილებების უფროსთა შეკრებაზე წარმოადგინეს.

როდის დაამშვენებს სამხედრო მოსამსახურეებს სამინისტროს შესაბამისი კომისიის მიერ აპრობირებული ეს მოხდენილი და მოხერხებული (ყოველდღიური, სააღლუმო და საველე) ფორმის ტანსაცმელი? ამ კითხვით მივმართეთ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს უფროსს გენერალ ვალერი ბუჩუკურს.

— როგორც იცით, ჩვენი სამმართველო სულ ორიოდე თვეა რაც შეიქმნა. რასაკვირველია, ჯერჯერობით სათქმელი და თავმოსაწონებელი ბევრი არაფერი გვაქვს, მაგრამ სამხედრო ნაწილების მომარაგება საკვები პროდუქტებითა და პირველი მოხმარების საქონლით რომ საგრძნობლად გაუმჯობესდა, ამას უპირველესად სამხედრო ნაწილების მეთაურები შენიშნავდნენ. რაც შეეხება სამხედრო ფორმის ტანსაცმელს, ამდენხანს რუსეთში, ბულგარეთში, თურქეთსა და საბერძნეთში ვიძენდით, ახლა კი სახელმწიფო ინტერესებით ვხელმძღვანელობთ. ჯერ ერთი: თუ ადრე რუსეთის იაფი ბაზარი ხელს გვაძლევდა, ახლა ძალზე გაძვირდა. ქვეყანას უჭირს და ფუფუნების უფლებას თავს ვერ მივცემთ. გარდა ამისა, ჩვენი პრინციპია „ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდეს". რატომ უნდა გავიდეს საზღვრებს მიღმა ეროვნული ვალუტა? ჩვენი საწარმოები რომ ავამოქმედოთ და ჩვენი ხალხი დავასაქმოთ, ამიტომ ხელშეკრულებები დავდეთ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსთან. ქუთაისის აბრეშუმკომბინატსა და სამკერვალო ფაბრიკაში მზადდება კამუფლირებული ქსოვილი, იკერება გიმნასტურები, ქურთუკები, შარვლები, ქუდები. უკვე 10 ათასი ცალია დამზადებული, ძალიან გვიჭირს ჩექმები, რომლებსაც ჩვენი საწარმოები ვერ კერავენ. ახლახან 5 ათასი ცალი ბულგარეთიდან შემოვიტანეთ. 1995 წლის ბოლო ექვს თვეში სამინისტრომ საბაზრო კომერციულ ფასებში 122,990,60 ლარის ტანსაცმელი შეიძინა. მაქსიმალურად ვცდილობთ ჩვენი საწარმოების დასაქმებას. ყელიანი ფეხსაცმელი შევუკვეთეთ ფაბრიკა „ნარიყალას". მართალია, უსახსრობის გამო „პირი გავტეხეთ", მაგრამ ამ დღეებში ამოქმედებისა და პროდუქციის დამზადების საშუალებას უთუოდ მივცემთ. თუ იმედებს გაგვიმართლებს — ხარისხიან პროდუქციას მოგვაწვდის — ამ ტრადიციულ საწარმოსთან სამომავლოდაც თანამშრომლობა გვექნება. საზოგადოდ, ყველა საწარმოსთან ხელშეკრულებები ამ პრინციპის საფუძველზე დაიდება.

ჩვენი სურვილია, გენერალსაც და ჯარისკაცსაც მოხდენილად ეცვას. გამიზნული გვაქვს ჯარის ნაწილებში სამხედრო წვრთნისა და ყოფაცხოვრების ისეთი პირობების შექმნა, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების მოზიდვას და დისციპლინის განმტკიცებას. დიდ იმედებს ვამყარებთ კომერციულ საქმიანობაზე.. ამის უფლება, საქართველოს შეიარაღებული ძალების განვითარების კომპლექსურ ღონისძიებათა შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების გამოსვლის შემდეგ მოგვეცა. ეს სიახლე ხელს შეუწყობს ჩვენი ფუნქციის — სამხედრო ნაწილების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის — რეალიზებას, რაც საქართველოს ჯარის განვითარება-განმტკიცების საფუძველია.

ესაუბრა
ლეილა კოშკაძე.

ადგილობრივი მმართველობა

ანგარიშს აბარებენ მოსახლეობას

ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის თეატრში მოეწყო მერიის შეხვედრა ქალაქის საზოგადოებრიობასთან, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან.

წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ ისაუბრეს ქალაქის მერმა ნუგზარ ნადარაიამ, ვიცე-მერებმა ირაკლი მოწერელიამ, კაკო დარჯანიამ, კარლო უჩანეიშვილმა, ჯემალ გურგენიძემ, ვახტანგ მზიძემ, ქალაქის პროკურორმა ბორის ბარამიამ, ტრანსპორტის პროკურორმა გოჩა აბშილავამ და სხვებმა.

ითქვა, რომ ქალაქის მერიის მიერ ეკონომიკური რეფორმების გატარებით, სახელმწიფო საწარმოთა აქციონერების, საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცების შედეგად შესაძლებელი გახდა შემუშავებულიყო ქალაქის ეროვნული მეურნეობის და მისი ცალკეული დარგების განვითარების კონცეფცია. ეს ანტიკრიზისული კონცეფცია საინტერესოა იმით, რომ იგი გამიზნულია ბიუჯეტში შემოსავლის გაზრდით, საწარმოთა ავტონომიურ რეჟიმში მუშაობის თანდათანობით უზრუნველყოფის მიღწევით ახალი სამუშაოების შესაქმნელად.

ამ გზით მრეწველობის სხვადასხვა დარგში შეიქმნება 500-მდე სამუშაო ადგილი.

საანგარიშო პერიოდში შემუშავდა, ასევე, სოფლის მეურნეობის კონცეფცია. აღინიშნა, რომ აგრარული პოლიტიკის რეალიზაცია მოხდება ეტაპობრივად.

ქალაქში დაწყებულია რეფორმები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის, სოციალურ დარგებშიც.

ქალაქის მერის ნუგზარ ნადარაიას ინიციატივით საინტერესო წინადადებები შემუშავდა პედაგოგთა, კულტურის მუშაკთა, სპორტსმენთა სოციალური დაცვის თვალსაზრისით.

ორ თვეზე მეტია, ფოთში მიმდინარეობს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის რეფორმის მრავალეტაპიანი პროცესი. ქალაქის ხელმძღვანელობა მაქსიმალურად ცდილობს შესაძლებლობის ფარგლებში ხელი შეუწყოს ამ პროცესის შეუქცევადობას.

ფოთში აღდგა ტრადიციული დღესასწაული — „ფაზისობა", ქალაქის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში თავის სიტყვას იტყვის ლიტერატურულ ალმანახ „თანადგომას" გამოცემა. იქმნება რესპუბლიკური და საერთაშორისო ფონდები. ცხოვრების საერთო ფერხულში ჩაბმული არიან ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები. ამ დღეებში ჩამოყალიბდა ფოთში მცხოვრებ ებრაელთა საზოგადოება. მუშავდება წინადადებები ფოთთან დამობილებულ ქალაქებთან კულტურული ურთიერთობების აღსადგენად და სხვ.

თანამოქალაქეებთან შეხვედრამ საქმიან ვითარებაში ჩაიარა. გამოითქვა სურვილი, რომ ასეთი შეხვედრები პერიოდულად მოეწყოს.

იოსებ გოგებია,
„ხრ" საკ. კორ.

განსჯა

ზოგი ჩემი, ზოგი სხვისა,

ანუ მართლა „წერე და იკითხე?.."

„რომელ პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე შეიძლება საუბარი, როცა მრავალი დაპირების მიუხედავად ქვეყნის პოლიტიკურ ძალებს ეკონომიკური დამოუკიდებლობის პროგრამაც არ გააჩნიათ... აქვს კი აზრი ისეთ დამოუკიდებლობას, როცა „დედაენით", კალმისტრით, ფანქრით ვერ უზრუნველვყოფთ მოსწავლეებს? როცა ჩვენი თანამოქალაქენი ნაგავსაყრელებში ეძებენ თავის გამოკვების საშუალებას? როცა უტრანსპორტობის გამო ხალხი სამსახურში ვერ დადის? როცა მინისტრის ერთი თვის ხელფასი კილოგრამ ხორცსაც ვერ გაწვდება? როცა ქრისტიანი კაცი ზეწარში გახვეულს ასაფლავებს მიცვალებულს?" („საქართველოს რესპუბლიკა", 1993 წ., 11.XI., ა. ბასილაიას სტატიიდან).

„ეკონომიკას პატრონი არა ჰყავს, მას არავინ მართავს, ხოლო რადგან იგი უმართავი და უპატრონოა, ქვეყანაში ქაოსი და განუკითხაობაა" (იგივე გაზეთი, 1993 წ., 1.XII, ო. ხუციშვილის სტატიიდან).

ცნობილ ქართველ იუმორისტს გ. ხინველს ერთი მახვილგონივრული იუმორესკა აქვს, რომლის შინაარსი მიესადაგება და, შეიძლება ითქვას, ზედგამოჭრილად გამოხატავს ჩვენს დღევანდელ ეკონომიკას (თუკი ასეთი, ან მსგავსი რამ გვაქვს-ღა საერთოდ, აი ეს იუმორესკაც:

მანეთად ერთი ტიკი ღვინო (ხალხური)

ბაზარში ორი მთვრალი სოფელელი ერთმანეთს წაეჩხუბა და ერთმანეთს ცარიელი ტიკები დასცხეს.

— რატომ სცემთ ერთმანეთს? — ჩაერია სხვა სოფლელი.

— ამ ვირანამ მომატყუა, ერთ მანეთად მთელი ტიკი ღვინო შემისვა.

— ამ ოხერს უყურე და! მთელი ტიკი ღვინო დამილია და ხელში ეს ცარიელი ტიკი შემრჩა.

— თქვენი ვერაფერი გამიგია! როგორ მოხდა ეს ამბავი?

— როგორ მოხდა და ისე მოხდა, რომ მე და ეს ღმერთძაღლი მეზობლები ვართ. ყლაპვა ორივეს გვიყვარს. დედაკაცებმა კაბის საყიდლად ღვინო გაგვატანეს და თანაც დაგვაბარეს:

ესაო-და თუ მაინცდამაინც ყლაპვა მოგინდეთ, თქვე მეხჩასახეთქნო, სხვაგან იყიდეთ და საკუთარ ღვინოს ხელი არ ახლოთ. ფულზე გაყიდეთო. ჩვენც ასე მოვიქეცით. მომინდა ღვინო. ავიღე მანეთი და ვეუბნები ვანუას:

—დამისხი ტიკიდან ერთი სტაქანი ღვინო.

— ჩამოდი მანეთი! — მეუბნება ვანუა, მივეცი მანეთი. დამისხა ღვინო და გადავკარი. მერე ვანუას მოუნდა ღვინო და მეუბნება:

— კომბალა, ერთი ტაქანი ღვინო დამისხი და ისეც შენი მანეთი შენა გქონდესო, დავუსხი ღვინო და ჩემი მანეთი ისევ ჩემს ჯიბეში ჩავიდე. მერე ისევ მე მომინდა ღვინო, ისევ მივეცი ის მანეთი (სხვა ფული აბა სად მქონდა), მერე ისევ მას მოუნდა... მერე მე მომინდა... მერე ისევ მას... და ბაზრობის გათავებისას ჩვენი ტიკები დაიცალა, „საანგარიშეთ ნავაჭრი და ხელში ერთი მანეთისა და ორი ცარიელი ტიკის გარდა აღარაფერი შეგვრჩა.

— ჰოდა, მაშ არ არის საცემი, რომ მუქთად ღვინო დამილია! — ისევ გაიწია ვანუამ კომბალას საცემად.

ჩვენშიც ლამის ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ ფაქტიურად —„ძვირ იყიდე და ცოტა იქით გაყიდე"-ს და ყოველგვარ ზღვარს გადაცილებულ სპეკულაციას მავანი და მავანი ბიზნესს უწოდებს, თანაც ყოველივე ეს ჯბადაღებულ საბაზრო ეკონომიკის საფუძვლად მიაჩნია. ზოგი კი იქამდეც მიდის, რომ ჩვენში ჭარბი წარმოების ნიშნებიც დაინახა. საინტერესოა, რა ოპტიკური ხელსაწყოებით?! როგორ, ბატონებო, განა თვით პოლიტეკონომიის ფუძემდებლების —ადამ სმიტის, დავით რიკარდოს, რობერტ ოუენისა და სხვათა დამოწმებაა საჭირო, რომ შრომისა და ხარჯის, პროდუქციის შექმნის გარეშე რაიმე კეთილდღეობასა და სიკეთეზე, რბილად რომ ვთქვათ, ლაპარაკიც კი უაზრობაა?

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ნახევარი საქართველო ჯიხურებშია შეყუჟული (ამას, ალბათ, ვაჟას სიტყვები მიესადაგება — „ვისდა სცალია ჩვენთვისა, ქვეყანა იქცა დუქნადა"), საიდანაც ათასნაირი ფერებით მიმოხატულ-შეპუდრული ქალბატონები რაღაც-რაღაცეებს გვთავაზობენ, ვინ იცის რა გზებით ნაშოვნსა და ჩვეულებრივი მშრომელისათვის აბსოლუტურად მიუწვდომელ ფასებში, ერთ ნაცნობს დიღმის მასივის ერთ ქუჩაზე ასეთი ჯიხური ორასი დაუთვლია, რომლებიც ისე მიჯრით ჩამწკრივებულან, რომ ოდესღაც მწვანე გაზონისათვის განკუთვნილი ზონა მთლიანად ოკუპირებულია. გაოცებას იწვევს ის ფაქტიც, რომ ყველა ჯიხურში სრულიად უკონტროლოდ ჩაყვანილია ელგაყვანილობა განათებისა და გათბობისათვის (ცხადია, ელექტროქურებით), ვინ აღრიცხავს ამ დანახარჯს ასეთ საყოველთაო გაჭირვების პირობებში, როცა საავადმყოფოებსა და სკოლებსაც კი არა აქვთ ელექტროდენი და გათბობა? შეხედავთ ზიზილ-პიპილებიანი ტკბილეულით მორთულ ვიტრინების წინ მოტირალ პატარებს, რომლებსაც თვალცრემლიანი დედები ცდილობენ მოაშორონ იქაურობას, რადგან არა აქვთ საშუალება რამე, თუნდაც სულ პატარა ნამცხვარი შეუძინონ და ყელში ბურთი გაწვებათ... ყველა-ყველა და, რა ფსიქოლოგიით ყალიბდებიან ჩვენი ყველაფერს მონატრებული პატარები, რანაირ მოქალაქეებად დაიზრდებიან? „სახელმწიფოსათვის სამარცხვინო დონეზე დგას ეგრეთწოდებული ფულის გადახურდავების სისტემა. ალბათ ესეც ხელს აძლევს ვინმეს („საქართველოს რესპუბლიკა", 1993 წ., 11, XI, ა. ბასილაიას სტატიიდან), აქ მართლაც სრული ქაოსია.

„ჩვენში ყველაფერი პარალიზებულია, არაფერს არ ვქმნით, არაფერს არ ვაწარმოებთ, ეს კი კატასტროფას გვიქადის, თუ უკვე არ დაგვატყდა" („ლიტერატურული საქართველო", 1993 წ., 3, IX., ემ. კვიტაიშვილის წერილიდან).

სესხების იმედად ყოფნაც საეჭვო ხდება ასეთი მაგალითების შემდეგ: „წლეულს 6 თვეში გაიცა 372 მილიარდი მანეთის საკრედიტო რესურსი. ამ თანხიდან ჩვენი რესპუბლიკის საკორესპონდენტო ანგარიშზე მხოლოდ 12,4 მილიარდი მანეთი მოხვდა, რუსეთში გადარიცხული 288 მილიარდი მანეთიდან კი მხოლოდ ერთი მილიარდი მანეთი („საქართველოს რესპუბლიკა", 1993 წ., 11, XI, რესპ. კონტროლის პალატის თავ-რის რ. შავიშვილის სტატიიდან).

„თურქეთში აღებული 50 მილიონი დოლარის კრედიტიდან საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი კონცერნ „კავკასიონი"-სათვის მიეცა, ყოფილი მინხილწყლის ბაზაზე „კოკა-კოლა"-ს წარმოების დასანერგად.

ჰოი, საკვირველებავ!

„კოკა-კოლა" მსოფლიოში ყველაზე მდიდარი 16 კომპანიათაგანი, თავის დროზე უზარმაზარი წაგებით მუშაობდა საფრანგეთში, სასმელების ამ პრესტიჟულ ქვეყანაში, ბაზარზე დანერგვისათვის, თურმე, აი ამ „კოკა-კოლა"-ს ჩვენგან თურქეთში აღებული კრედიტებით დახმარება სჭირდება, რათა „მინხილწყალი"-ს ბაზაზე თავისი სასმელი გამოუშვას.

„მინხილწყალს"-ს შესაძლებლობანი „კოკა-კოლა"-სთან, რა თქმა უნდა, ვერ მივა, მაგრამ მას ავად თუ კარგად დაპყრობილი ჰქონდა არა მარტო ადგილობრივი, არამედ უზარმაზარი რუსეთის იმპერიის ბაზარი, ახლა კი, ნაცვლად იმისა, რომ მძლავრ კონკურენტს ფორმალურად მაინც შეეწინააღმდეგოს, საზოგადოებრიობის ტაშის გრიალში „ხარაკირს" იკეთებს მისთვის ადგილის დასათმობად („საქართველოს რესპუბლიკა", 1993 წ. 15 VII, ომ. ვარძელაშვილის სტატიიდან).

ან კიდევ: „იბერთბანკის" კლიენტს, ღვინის ბირჟის ფირმა „777"-ს ეროვნული ბანკის რესურსებიდან გამოეყო 3 მილიარდი კუპონი კრედიტი. ამ თანხიდან „777"-მა ერთი მილიარდი კუპონი გადაურიცხა ფირმა „რიკოთი-7"-ს (ვითომ ჩაის შესაძენად), ხოლო 2 მილიარდი გარანტიით დაუტოვა „იბერთბანკს" და ბანკის სალაროდან გაიტანა (ნაღდი) 266.600 ამერიკული დოლარი. და ეს მაშინ, როცა ფირმა „777"-ის პრეზიდენტის ვინაობა დღემდე ვერ დაადგინეს (თურმე ასეც ხდება) ვერც ბანკმა და ვერც შემმოწმებელმა ორგანოებმა" („საქართველოს რესპუბლიკა", 1993 წ. 1, XII, ეკონომ. დანაშაულთან მებრძოლი სამმართველოს უფროსის ალ. ლომინეიშვილის ინტერვიუდან: იქვე სხვა არანაკლებ შთამბეჭდავი ამბებია მოხსენიებული).

იქნებ ე. წ. ჰუმანიტარული დახმარებები წაგვადგეს? ესეც საეჭვოა, რადგან: „ან კი ღირსები ვართ ჰუმანური დახმარებისა, რომელსაც ისინი გვიგზავნიან და შემდეგ კი უკვე ჩვენთან ჩამოსული ტვირთი სადღაც „ორთქლდება?" ქართული მაფია აბა რის მაფიაა, ყველა სფეროში ძლიერი არ იყოს, ძლიერი არ იყოს თანამემამულეთა ძარცვაში(. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ამა წლის პირველ ორ კვარტალში დოკუმენტებით აფხაზეთის მოსახლეობას თურმე მისწოდებია 358 ტონა ხორცი, 2416 ტონა შაქარი, 134 ტონა მარგარინი, 292 ტონა ზეთი, მაგრამ ნურას უკაცრავად, ეს ტვირთი ისევე „აორთქლებულა", როგორც „ორთქლდება" ხოლმე სხვა ჰუმანური დახმარებებიც (მსგავსი ციფრები მოჰყავს საქართველოს კონტროლის პალატის თავ-რეს ბ-ნ რ. შავიშვილს „საქართველოს რესპუბლიკა"-ში 1993 წ., 11, XI), ბუნებაში კი არაფერი არ იკარგება, ეს საქონელი კომერციული მაღაზიების დახლებზე ჩნდება და მამასისხლად იყიდება".

„შარშან თუ არ ვცდები, ორასი მილიონი დოლარით დაგვეხმარა ამერიკის შეერთებული შტატები, სამოცდაათი მილიონი ეკიუთი დაგვეხმარა ევროპის გაერთიანება, გარკვეული თანხებით დაგვეხმარა სხვა ქვეყნებიც... მაგრამ სად და რაში დაიხარჯა ეს ფული? ვინ და როდის შეამოწმა ეს ყოველივე?

ღმერთმა მდიდრები გვიმრავლოს, შეარგოს ყველას პატიოსანი გზით ნაშოვნი ფული, მაგრამ ნუთუ ძნელია, ჩვენმა დამშეულმა აკადემიკოსებმა და პურის რიგში განაწამებმა უბრალო ხალხმა ვიცოდეთ — ხელისუფლებისა და ბიზნესის წარმომადგენელთაგან ვინ იყიდა უცხოეთში სახლები და რით? ვისა აქვს სავალუტო ანგარიშები უცხოეთის ბანკებში და საიდან?

უცხოეთში რომ გაიზიდა საქართველოს სიმდიდრე — სპილენძი, ხე-ტყე, მადნეული, ძვირფასეულობა, ხელოვნების ნიმუშები და კიდევ კაცმა არ იცის რა, და ახლა რომ ალუმინის მავთულებიც გააქვთ, როგორ და რატომ დაიბრმავა თვალი და დაიყრუა ყური ჩვენმა საბაჟომ, პოლიციამ და ყველა იმან, ვისაც ასი თვალი და ასი ყური უნდა ება?

როდის შეწყდება ჰუმანური ტვირთის ძარცვა-გლეჯა ფოთიდან ახალქალაქამდე? დანიშნულების ადგილებამდე რატომ ყოველთვის არ აცილებს ჰუმანურ ტვირთს პოლიცია?

რატომ არ არის დღემდე გამოვლენილი და სამაგალითოდ დასჯილი, ვინც ელექტროდენითა და პურის საბოტაჟით მასხრად იგდებს ხალხს და უკიდურესობამდე მიჰყავს ადამიანები..?"

„დიდი გადანაწილება წარმოებს საქართველოშიც, ქვეყნის შიგნით — სახელმწიფო ქონების გადანაწილება მაქვს მხედველობაში, ფარული, ღია, ყაჩაღური, გონივრული, უჭკუო და ასე შემდეგ, ჩვენს, ყველას ქონებას ინაწილებენ ადამიანები, რომლებიც ჩვენთვის არაფერს ქმნიან, სარგებლობენ მდგომარეობით, ფულით, ნაცნობობით, ნათესაობით და ფაქტობრივად იტაცებენ ყველაფერს იმას, რაც ჩვენ, ყველას გვეკუთვნის. კანონი, რამაც უნდა აკრძალოს ეს პროცესი, არ არსებობს".

„წყალი, ანუ ბორჯომი, რომელიც სახელმწიფოსი, ანუ ყველასი იყო, ვიღაც-ვიღაცეებმა კაპიკებად დაითრიეს და მისი ყიდვა-გაყიდვით მე და თქვენ არაფერი მოგვდის და ვერც მივიღებთ, ერთ ბოთლ ბორჯომსაც კი. მოიპარეს სახელმწიფოს კუთვნილი შენობები, უსწორესად რომ მიითვისეს პარტიებმა. ინსტიტუტებისა და შემოქმედებითი კავშირების ბინები, კერძო პირებისაც... სანატორიუმები, სასადილოები, კაფეები, წიგნის მაღაზიები, გასტრონომები... მანქანა-დანადგარები, ტაქსები, ფერმები, მეურნეობანი... ღვინო, არაყი, კონიაკი, შამპანური.., ეს ყველაფერი სახელმწიფოსი იყო, ჩვენი, ყველასი, ისიც სადღაც გაქრა. ჩვენთვის, ყოველ შემთხვევაში, ისევე, როგორც გაქრა ჩვენი ეროვნული სიამაყე — ლაღიძის წყალი... დადგა დრო, ბოლომდე გაირკვეს, ვინ რა დაითრია და ყველაფერი დაუბრუნდეს ხალხს ექსპლოატაციისა და განკარგვის წილობრივი უფლებით" („საქართველოს რესპუბლიკა", 1994 წ. 6. IV, ქ. იმედაშვილის სტატიიდან).

„მაგანმა ნაძირალებმა აფხაზეთიდან ლტოლვილი უმწეო ხალხის გაძარცვაც კი იკადრეს („საუკუნე", 1994 წ. № 1).

„სამურზაყანოს საშველად წასულებს თბილისელმა გენერლებმა მათ თითო ავტომატი 200 დოლარად შეუფასეს. ამ ავტომატებით სამურზაყანოსათვის სიკვდილს აპირებდნენ პარტიზანები" („7 დღე", 1994 წ. 11, ლ. ტოკლიკიშვილის სტატიიდან).

თუ ეს მართალია (თუნდაც ნაწილობრივ!), რას იმსახურებენ ასეთი „გენერლები"?

გასული წლის 17 მარტს, ერთ-ერთი ქართველი გენერალი ტელევიზიაში ამბობდა, რომ აფხაზები ომობდნენ, ჩვენ კი ფაქტობრივად ომობანას ვთამაშობდითო: აფხაზურმა მხარემ ეშერის იქით 150 კაცი დახვრიტა — თავისიანი, ბრძანების შეუსრულებლობისთვისო, ჩვენ საყვედურიც კი არავისთვის გამოგვიცხადებია, თუმცა ბრძანების შეუსრულებლობის ფაქტი უამრავი იყოო.

ყოველივე ზემოთქმულიდან, ალბათ, ერთადერთი დასკვნა შეიძლება გაკეთდეს: თუ ქვეყანაში არ დამყარდა ელემენტარული დისციპლინა და შრომა არ დაიწყეთ, საბოლოო კატასტროფა გარდუვალია. „ჩემის ღრმა რწმენით, ჯერ სოფელს უნდა მივხედოთ დაუყოვნებლივ. იქ უნდა ვეძებოთ ჩვენი სიკეთის სათავე. მათ შორის დემოგრაფიულისაც, გავიხსენოთ არჩილ მეფე რომ ბრძანებდა: „ოდეს ამოწყდეს გლეხი კაცი, საქართველოც გადაშენდესო"; სწორედ ჩვენებური გლეხკაცი ქმნიდა მატერიალურ სიკეთეს და დიდი წვლილიც შეჰქონდა ჩვენი ზნეობის ჩამოყალიბებაში („თუკი რამ დარჩა ჩემში კარგი და კეთილი, უფრო იმის წყალობით, რომ მე სოფელში ვიყავი გაზრდილი და გლეხის შვილებთან ერთად ვიზრდებოდი", არ დაგვავიწყდეს აკაკის?). სწორედ ის იყო დიდაბოძი ოჯახისა და ქვეყნისა, შინაურის მოყვარე, გარეულის პატივისმცემელი, ნათელ-მირონის ერთგული. სწორედ იმ სახელგარეჯულ და ხელებდაკოჟრილ გლეხკაცს შეუქმნია განუმეორებელი „კალოსპირული" და „შენ ბიჭო, ანაგურელო", რომლებიც გამოუთქმელი ძალით მოგვიწოდებენ შრომისაკენ, კაცობისაკენ. ისე არავინ გაგვიგოს, თითქოს ამით ინტელიგენციის მნიშვნელობის დაკნინება გვინდოდეს. ღმერთმა დაგვიფაროს.., ერი მეცნიერთა, ხელოვანთა, მწერალთა, მხატვრული სიტყვის ოსტატთა გარეშე რა ერია? მაგრამ, მშიერმა კაცმა რომ ყველაფერი შეიძლება ჩაიდინოს, ესეც ხომ აშკარაა!

ჩვენი ისტორიის აბედითობის ჟამს ქართველ გლეხკაცს არასოდეს მიუტოვებია ხარ-გუთანი, ცხვარ-ძროხა, ჩვენს ქალს არ აუღია ხელი ქვავნზე და ჯარა-სარჩეულზე. მუშა მიწყივ მუშაკობდა... ჩვენ კი კვლავ და კვლავ ვცდილობთ მოვწველოთ ძროხა, რომლის ცური დიდი ხანია ცარიელია, რადგან ბალახის მიცემა დაგვავიწყნია, გვშია და ხელი სხვისკენ გვაქვს სამადლოდ გაწვდილი, ფაქტობრივად აღარც სწავლა-განათლებაა, სკოლა სკოლას აღარ ჰგავს, აღარც სტუდენტობაა ძველებურად აუდიტორიებში, ცოდვა გატეხილი სჯობს: ასეთ პირობებში ვდეგრადირდებით მასწავლებლებიც, ჩაკვდა მეცნიერული მუშაობა, მიინავლა თეატრალური ცხოვრება („საქართველოს რესპუბლიკა", 1992 წ. 9 VII, ჩემი წერილიდან).

„როგორ იყო, რომ XII საუკუნეში, როცა ჩვენში არ იყო კარტოფილი, ლობიო, სიმინდი (ჩვენი დღევანდელი ძირითადი საკვები) და მიწასაც კავით ვხნავდით, ყოველ შემთხვევაში, დღევანდელზე არანაკლებ მოსახლეობას ვასაზრდოებდით? დღეს კი საქმე იქამდეა მისული, რომ პურიც კი სხვისი სამადლო გვეგზავნება. სად გაქრა ჩვენი მარჩენალი გლეხი, რომლის შესახებაც დიდი ილია ბრძანებდა (არჩილის პირით კესოსთან საუბარში): „ჩვენ დაბლანდულები ვართ, ისინი კი გვირისტით შეკერილნი, იმ გვირისტით, რომელიც მარტო ბუნებამ იცის და ბუნება ხომ იცი რა ოსტატია".

ოფიციალური სტატისტიკით, საქართველოში დღეს 1400 სოფელია გაუკაცრიელებული, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით, ურბანიზაცია ყველა ქვეყანას შეეხო, მაგრამ ასეთი თავკომბალა დედაქალაქი, ჩვენ რომ გვაქვს?" („კომუნისტი", 1989 წ., 22. VII, ჩემი წერილიდან).

„თოხებს გამოქცეული გლეხებით გავსებულ ქალაქში სისუფთავის დაცვას სხვა ტომის ხალხს ვეზირებით და უბატონოდ ხმას ვერა ვცემთ, რადგან ქართველები ფიზიკური შრომისადმი თანდათან გულგრილნი ვხდებით და ქუჩის დაგვა ხომ პირდაპირ შეურაცხმყოფელ საქმედ მიგვაჩნია.

დიდად გულსატკენია, მაგრამ ფაქტია, რომ ქართველებმა ვერ მოუარეს თავის დედაქალაქს" („თბილისი", 1989 წ., 6 XII, ე. ცისკარიშვილის სტატიიდან).

„ომებს ვიგებდით იმიტომ, რომ მძლავრი იყო ქართული სოფელი, ეროვნული ეკონომიკა. მოგეხსენებათ, ისეთი რეფორმები ჩატარდა, სახელმწიფოც და ქართველი ერიც გამათხოვრდა და მარტო პატრიოტიზმით ომის მოგება გაგვიძნელდება, დღეში ათ კაცამდე, უფრო მეტიც, ვკარგავთ ომში — შიმშილით იღუპება, ვამდიდრებთ ერთ მუჭა მაფიოზებს მხოლოდ. ამგვარად, ჩვენ მარტონი და გამათხოვრებულნი ვუპირისპირდებით რუსეთსაც და კავკასიასაც" („საქართველოს სამრეკლო", 1993 წ., 30, VII, თ. მდინარაძის სტატიიდან).

ჩვენ კი, იმის მაგიერ, რომ საკუთარ ქვეყანაში შრომისა და აღორძინებისაკენ მოგვიწოდონ და საამისო პირობების შექმნისათვისაც იღწვოდნენ, გვიკიჟინებენ: „გასწით დატკბით ცივილიზაციის უმაღლესი მიღწევებით და არნახული ეკზოტიკით, დაისვენეთ უმაღლესი კლასის სასტუმროებში, მიირთვით უგემრიელესი კერძები, ნახეთ ზღაპრული ბუნება, იგრძენით თავი ნამდვილ ადამიანად, ჩაიცვით ელეგანტურად და საოცრად დაბალ ფასებში"... და ავიაკომპანია და ერთ-ერთი ტურისტული ფირმა (ასეთები კი ჩვენში უთვალავია) გვპატიჟებენ რომელიღაც ქვეყანაში აღარ („რეზონანსი", 1993 წ. 27-28 XI), მაშ ასე: სხვა ქვეყნებში ვიგრძნოთ თავი ნამდვილ ადამიანად, მაგრამ რა სახსრებით — ამას მნიშვნელობა არა აქვს. იმ ქვეყნებში, ალბათ, ციდან ჩამოუცვივდათ ყველაფერი! ჩვენ კი, ყოველგვარ უკეთურობასთან ერთად, ვითომ არც აფხაზეთი გვაქვს დაკარგული ჯერჯერობით და არც შიდა ქართლი!

ჩვენ ისტორიით გამოცდილი ერი ვართ, ვამაყობთ ჩვენი ძველი ცივილიზაციით, მაგრამ ბოლო ხანებში, არც თუ უსაფუძვლოდ, ასეთი გამოთქმაც გაჩნდა: გენეტიკური სისუსტე ცივილიზაციის სიჭარბისაგან (განა ცივილიზაციის სიჭარბეზე არ მეტყველებს ჩვენში ამდენი პოლიტიკური პარტიის არსებობა? ამბობენ, გენერალიც კი უკვე 50-ზე მეტი გვყავსო...), მოგვერგება თუ არა ეს გამოთქმა რაღაც წილად, განსაჯეთ თუნდაც იმით, რომ რიცხობრივად აღარ ვმატულობთ, ბუნებაში კი ყველა ცოცხალი არსების, როგორც ბიოლოგიური ერთეულის, შენახვას ინტენსიურად გამრავლების თანდაყოლილი ინსტინქტი ემსახურება.

გ. რობაქიძის როგორღაც უთქვამს: ქართველი ერის მტერი თვით ქართველი ერიაო. ივანე ჯავახიშვილის დასკვნით, არცერთ მტერსა და მომხდურს არ მიუყენებია იმდენი ზიანი, საქართველოსათვის, რამდენიც თვითონ ქართველებს. შესაძლოა დროის გარდუვალობა იყო, 1921 წელს გარეშე ძალით რომ დაიმხო საქართველოს დამოუკიდებლობა, მაგრამ მაშინაც რომ გადამწყვეტი როლი თვით ჩვენივე მოდგმის ცოდვისშვილებმა ითამაშეს? გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი, სამართალმცოდნე და დიპლომატი ზ. ავალიშვილი თავის წიგნში — „საქართველოს დამოუკიდებლობა", რომელიც გამოვიდა პარიზში 1924 წელს, წინასწარმეტყველურად წერდა: „უკვდავების წყლით მოპკურებული ძველი საქართველო აღდგა და მისი ხელახლა დასამარება შეუძლია მხოლოდ საკუთარ შვილთა სულმოკლეობას". ეს სიტყვები დღესაც აქტუალურად ჟღერს, ჩვენ უპირველესად ყოვლისა გაერთიანება და ერთ მუშტად შეკვრა გვჭირდება. ცხადია, ელემენტარულ დისციპლინასთან, თუნდაც ელემენტარულ წესრიგთან ერთად.

ამ წერილის დაწერის შემდეგ ჩვენს პრესაში ბევრი ჩვენთვის გულსატკენი ფაქტი გამოქვეყნდა (ითქმებოდა ტელევიზიითაც), რაც ჩვენი ყოფის ყველა მხარეს შეეხება და რომელთა მიხედვითაც სიკეთისაკენ რადიკალური ძვრები კვლავ არა ჩანს: ჯერჯერობით ქვეყნის საკმაოდ დიდი ნაწილი ჩვენი იურისდიქციის გარეშეა, მეოთხედი მილიონი ადამიანი საკუთარ ქვეყანაში (!!!) ლტოლვილია. არ ჩანს გაერთიანების საწყისები (ვერ გავიცნობიერეთ ჩეჩნეთის მაგალითიც...), მოსახლეობის უდიდესი ნაწილის, ყოველ შემთხვევაში — პატიოსანი მშრომელის, სოციალური ყოფა უმძიმესია...

მომავალს მაინც იმედის თვალით შევყურებთ.

დავით ჟოხაძე,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ბიო-სამედიცინო აკადემიის აკადემიკოსი.

დასასრული. დასაწყისი იხ. „ხრ" № 4.

ინფორმაცია

სტუმრად სამხედრო აკადემიაში

[illegible] ახალი წელი გაერთიანებული სამხედრო აკადემიის ოფიცრებს, ზემდეგებსა და მსმენელებს საქართველოს ქალთა საბჭომ მიულოცა.

სადღესასწაულოდ მორთულ სამხედრო აკადემიის საქტო დარბაზის სცენაზე პოლკოვნიკმა იაგო გოგსაძემ მიიწვია ქალბატონები ზინაიდა კვაჭაძე, ნინო ჭავახიშვილი, მზექალა შანიძე, ნადეჟდა შალუტაშვილი, ვენერა მეხსი, გულნარა ხტურუა, ლია თარხნიშვილი, თეონა ქობელაშვილი. მან აკადემიის ხელმძღვანელობისა და პირადი შემადგენლობის სახელით დიდი მადლობა გადაუხადა საპატიო სტუმრებს საახალწლო საჩუქრებისა და იმ ყურადღებისათვის, რასაც ის საზოგადოება იჩენს მომავალი პროფესიონალი სამხედროების მიმართ.

ზეიმის ბოლოს საქართველოს ქალთა საბჭოსა და ადამიანის უფლებათა დაცვის ახალგაზრდული კავშირის თხოვნით კონცერტი გამართეს კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის სტუდენტებმა. მათ შეუერთდა გაერთიანებული სამხედრო აკადემიის სიმღერის ჯგუფი „ფარო“ (ხელმძღვანელი ბიჭიკო სიმონიშვილი).

ია კალანდარიშვილი.

ყაჩაღების გზა მოკლე გამოდგა

თბილისის რეგიონული სამხედრო სასამართლოს 1995 წლის 30 დეკემბრის განაჩენით (მოსამართლეები ნ. ხუბუა, ი. ლევერაშვილი, გ. ძაბუნიძე, სახელმწიფო ბრალმდებელი ა. ადანაია) ყაჩაღობისათვის და სხვა დანაშაულობებისათვის მსჯავრდებულნი იქნენ ი. თოთრაშვილი, ზ. მაჭარაშვილი, გ. ზაბაირაშნი, ნ. ჭაბუნაშვილი.

მსჯავრდებულები — ახალგაზრდა სპორტსმენები, საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისათვის იბრძოდნენ. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში ეკავათ პასუხსაგები თანამდებობები, მაგრამ მათ მაინც ხალხის ძარცვა-გლეჯას მიჰყვეს ხელი. 1994 წლის ოქტომბერში ყაჩაღური თავდასხმით გაიტაცეს მოქალაქეების თ. ალანიას, თ. ნოზაძის, ი. რობიტაშვილის ავტომანქანები, პირადი ნივთები, რომლებიც შემდგომში თანამონაწილეთა დახმარებით გაყიდეს ჩრდილოეთ ოსეთში.

1994 წლის სექტემბერში ყაჩაღები, რომლებიც ფიზიკური ძალით გამოირჩეოდნენ, სამსჯავრო სხდომის დამთავრებისა შემდეგ შეეცადნენ მცველების განიარაღებას და გაქცევას, მაგრამ ბადრაგმა, შინაგანი ჯარების ჯარისკაცებმა რამდენიმე წამში აღკვეთეს გაქცევის მცდელობა. ყაჩაღებს, გაქცევის მცდელობისათვის, დამატებით წარედგინათ ბრალდება.

სასამართლომ სასჯელის ზომად განუსაზღვრა ი. თოთრაშვილს თავისუფლების აღკვეთა 11 წლის ვადით, ნ. ჭაბანაშვილს 10 წლის, გ. ზაბაირაჩნის 8 წლის, ზ. მაჭარაშვილს 8 წლის ვადით, პირადი ქონების კონფისკაციით.

ინფორმაცია მოგვაწოდა სამხედრო პროკურატურამ.

მიაკითხეთ „პატიმართა საძმოს“

„პატიმართა საძმო“ (პრეზიდენტი — ირმა მინდორაშვილი, თანაპრეზიდენტი — იური ხრეკვაძე, ვიცეპრეზიდენტი — თამარ ლებანიძე) დღენიადაგ იღვწის პატიმართა და მათი ოჯახების კეთილდღეობისათვის. მიუხედავად არსებული წინააღმდეგობისა, ის პატიმრებს და მათი ოჯახის წევრებს, ყოველთვიურად აწვდის პროდუქტებს, ტანსაცმელს, წიგნებს. პატიმართა შორის ატარებს იდეოლოგიურ მუშაობას, რომლის ძირითადი მიზანია ქრისტიანული სულისკვეთების ამაღლება.

„პატიმართა საძმოს“ დირექცია აცნობებს პატიმართა ოჯახებს, რომ „საძმო“ მდებარეობს ცოტნე დადიანის ქუჩა, № 2-ში და მსურველებს შეუძლიათ მიაკითხონ დახმარებისათვის.

მარინე ოსიაშვილი.

სიტუაცია

ქორო, საიდან მოდიხარ,

ანუ ხალხური მედიცინის ასოციაცია და რაჭა-საჩხერის გზის მშენებლობის იწილ-ბიწილო

მრავალი [illegible] რაჭისა და ზემო იმერეთის მოსახლეობა ოცნებობს საჩხერეონის უმოკლესი გზით ერთმანეთთან დაკავშირებაზე. ეს გზა ხიხამთაზე უნდა გასულიყო და ონის სოფელი შქმერი საჩხერესთან დაეკავშირებინა. მისი სიგრძე 35 კილომეტრს შეადგენს. იყო ამ გზის მშენებლობის მონახაზები, მოსახლეობის თხოვნა, გზის მშენებლობის აუცილებლობის დასაბუთებანი, მაგრამ დღემდე სურვილი სურვილად რჩებოდა. ადრეც კი, როცა არსებობდა საძაჩაბლოზე გამავალი ტრასა, ამ პირდაპირი გზის გაყვანა მაინც სტრატეგიული მნიშვნელობისა იყო ზემო რაჭისათვის, დღეისათვის კი მისი მშენებლობა, უბრალოდ, აუცილებელი გახდა.

ამ საკითხით დაინტერესდა ხალხური მედიცინის ასოციაცია. ეს დაინტერესება ხიხამთის ალპურმა საძოვრებმა განაპირობა, რომელიც დღეისათვის უგზოობის გამო, თითქმის გამოუყენებელია. არადა, ადგილობრივი კლიმატური პირობები და ეკოლოგია საშუალებას იძლევა იქ შეიქმნას სამკურნალო მცენარეების უნიკალური მეურნეობები, რომლებიც შემდგომში ნატურალური ფარმაციული მრეწველობის მატერიალური ბაზა იქნება და საგრძნობლად შეუწყობს ხელს რეგიონის ეკონომიკის აღორძინებას. გარდა ამისა, საქართველოს სამი კუთხე — ქართლი, იმერეთი და რაჭა უმოკლესი გზით დაუკავშირდება ერთმანეთს.

გზის მშენებლობის ნებართვის მისაღებად ასოციაციამ მიმართა მინისტრთა კაბინეტს. მინისტრთა კაბინეტმა დაწვრილებით შეისწავლა შეთავაზებული წინადადება და დასკვნისათვის გადასცა სათანადო უწყებებს, კერძოდ: იუსტიციის, სატყეო მეურნეობის და გზების მშენებლობის სამინისტროებს, გარემოს დაცვის კომიტეტს, ონისა და საჩხერის გამგეობებს. მათი დადებითი დასკვნების საფუძველზე მინისტრთა კაბინეტმა 1995 წლის 7 თებერვლის № 61-გ განკარგულებით ხალხურ მედიცინის ასოციაციას გზის მშენებლობის ნებართვა მისცა, იმის გათვალისწინებით, რომ ასოციაცია ამ გზას თავისი სახსრებით ააშენებდა, მშენებლობის დამთავრების შემდეგ ის, როგორც ალტერნატიული გზა, გადაეცემოდა ასოციაციას კერძო საკუთრებაში. ამავე განკარგულებით, ასოციაციას, გზის მშენებლობის დროს გაჩეხილი ხე-ტყის ღირებულების გადახდის შემდეგ, გაჩეხილი ხე-ტყის რეალიზაციის ნებართვა ეძლეოდა.

ხალხური მედიცინის ასოციაცია მინისტრთა კაბინეტის ამ განკარგულების გამოსვლისთანავე შეუდგა საქმეს: მოიმარაგა საწვავი, შექმნა მშენებელთა ბრიგადა, დაიქირავა მექანიზმები.

თვენახევრის განმავლობაში სოფელ შქმერიდან ტყისპირამდე გაიჭრა და მოიხრეშა 5 კილომეტრი სიგრძის გზა, სოფელს წყალდიდობით დანგრეული ხიდის სანაცვლოდ დროებითი გადასასვლელი გაუკეთდა, რათა რაიონულ ცენტრს არ მოწყვეტოდა.

როდესაც უშუალოდ ტყეში გზის გაჭრა უნდა დაეწყოთ, გამოვიდა მინისტრთა კაბინეტის დადგენილება ხე-ტყის ექსპორტის აკრძალვის თაობაზე.

ასოციაცია იძულებული გახდა შეეჩერებინა მშენებლობა, რადგან მოჭრილი ხე-ტყის შიდა ბაზარზე რეალიზაცია, მოსაჭრელი ტყის დიდი რაოდენობის გამო, შეუძლებელი და თან წამგებიანი აღმოჩნდა.

დახმარებისათვის მიმართეს სახელმწიფოს მეთაურს ბატონ ე. შევარდნაძეს. სახელმწიფოს მეთაურმა გაითვალისწინა საკითხის აქტუალობა. მის მიერ მოწვეულ სხდომაზე ყველა იმ უწყების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ, ვისაც ხე-ტყის საკითხის გადაწყვეტა ეხება. ყოველი მათგანი დაეთანხმა ასოციაციის თხოვნას. საბოლოოდ მინისტრთა კაბინეტმა გამოიტანა სათანადო დადგენილება — ასოციაციას ხე-ტყის ექსპორტის ნება დაერთო. ამას გარდა, გამოიცა მინისტრთა კაბინეტის დადგენილება ლიცენზირებადი პროდუქტების სიაში ხე-ტყის შეტანის შესახებ, ე. ი. დაინტერესებულ ორგანიზაციებს ლიცენზიის აღების შემთხვევაში ხე-ტყის საექსპორტოდ გატანის ნება დაერთო!

ასოციაციამ გზის მშენებლობის გაგრძელება გადაწყვიტა, მაგრამ სანამ საქმეს შეუდგებოდა, გამოვიდა პარლამენტის დადგენილება ხე-ტყის მოჭრის აკრძალვის შესახებ გარემოს დაცვის კომიტეტის ნებართვის გარეშე.

ასოციაციამ გარემოს დაცვის კომიტეტის მოთხოვნით ახალი [illegible] დაიწყო. ამასობაში ზამთარიც კარს მოადგა და იძულებული გახდნენ გზის მშენებლობა გაზაფხულისთვის გადაედოთ. ასოციაციას ხელში შერჩა ორმოცდაათი ტონა დიზელის საწვავი, დაქირავებული ტექნიკა, მინისტრთა კაბინეტის დადგენილება, გარემოს დაცვის კომიტეტთან სიტყვიერი შეთანხმება და იმედი, რომ გაზაფხულისთვის ახალი გადაწყვეტილებები და დადგენილებები ხელს არ შეუშლიან გზის გაყვანაში.

მშენებლობის შეფერხებას მრავალი ჭორი და ეჭვი მოჰყვა, ხმა დაირხა, ასოციაცია საბაჟოს მოწყობას აპირებს რაჭისა და იმერეთის საზღვარზეო, გზის გაყვანა ბუნების განადგურებას გამოიწვევსო, ასოციაცია ტყეს გაჩეხს, გაყიდის და არავითარ გზას არ გაიყვანსო.

რა თქმა უნდა, იმერეთსა და რაჭის საზღვარზე საბაჟოს გახსნა ანეკდოტური ჭორია, არც ბუნებას ემუქრება განადგურება, პირიქით — ეს გზა სათანადო უწყებას ხელს შეუწყობს ტყის მოვლაში, რაც მიუვალობის გამო ამდენი ხანი ფერხდებოდა. რაც შეეხება იმას, ასოციაცია ტყეს გაჩეხს და გზას არ გააკეთებსო, ყოვლად უსაფუძვლოა და მოლა ნასრედინის ქმედებას წააგავს, ბიჭს წყაროზე გაგზავნის წინ რომ გალახა, დოქი არ გატეხოო. თუ ახალ-ახალი აკრძალვები და წინააღმდეგობები არ შეხვდა, ხალხური მედიცინის ასოციაციას გადაწყვეტილი აქვს 1997 წლის ბოლოს დაამთავრონ შქმერ-უზუმთის V კატეგორიის გზის მშენებლობა!

თემურ გურდილაძე.

ადამიანი დროში

სიცოცხლის გახანგრძლივების დღე

ოკრიბაში ისტორიული სოფელია ხრესილი. მართალია ხრესილის ომის აღსანიშნავად ამ სოფელში დღემდე არც მემორიალი დგას და არც ობელისკი, მაგრამ ხრესილელები მაინც ამაყობენ ამ ფაქტითაც და სოფელში აღზრდილი სახელოვანი მამულიშვილებითაც. მათ შორის საკმარისია დავასახელოთ ქართული პედაგოგიკის პატრიარქი უშანგი ობოლაძე და მისი ძმა — ცნობილი მთამსვლელი და სპელეოლოგი დიმიტრი, აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე, მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე და ჟურნალისტი ბონდო მერკვილაძე. პოლიციის პოლკოვნიკი ციალა ხარატიშვილიც ხრესილელია. საქართველოში მხოლოდ რამდენიმე ქალია, ვინც ამ წოდებას ატარებს და ერთი მათგანი სწორედ ამ სოფლის მკვიდრი გახლავთ.

დღევანდელ შეჭირვებულ პერიოდში ნამდვილად დიდ სიძნელეს წარმოადგენს თავი მოუყარო სოფლის საშუალო სკოლის 40 წლის წინანდელ კურსდამთავრებულებს და ეს თარიღი საზეიმო ვითარებაში აღნიშნო. მაგრამ რახან ქალბატონმა ციალამ გულში ამოიჭრა ეს სურვილი, ჩვეული შემართებით გააკეთა კიდეც. ვინც ამ ზეიმის მოწმე და მონაწილე იყო, ყველამ ერთხმად აღიარა, რომ მივიწყებული კარგი ტრადიციის აღდგენა ნამდვილად საჭირო და სასარგებლოა ადამიანთა თანადგომისათვის, იმედისა და მომავალი თაობის აღმზრდელობითი მაგალითისათვის.

ისინი 14-ნი იყვნენ: — 7 ქალიშვილი და 7 ვაჟი. ცხოვრებაში ყველამ თავისი გზა აირჩია. ვინ იურისტია, ვინ ეკონომისტი, ვინ ავტომექანიკოსი და ვინ კიდევ სამთო ტექნიკოსი. ზოგი უკვე ბებიაა, ზოგიც ბაბუა...

კურსდამთავრებულები მშობლიურ სკოლაში არ შეკრებილან. სადღაა მათი სკოლა. იგი ხანძარმა შთანთქა 1960 წელს. ახალი ორსართულიანი სკოლა სხვა ადგილზე აღმართეს სარეკორდო დროში — ორ თვესა და 24 დღეში, ძველი სკოლის ადგილზე საბავშვო ბაღი ააგეს. მაგრამ კურსდამთავრებულები ნახანძრალი სკოლის ყოფილ ეზოში შეიკრიბნენ. „ვერავინ დაგვწყევლის, დაიწვა ის სკოლა, სადაც შენ დაამთავრეო“, — ხუმრობს ციალა ხარატიშვილი და შეკრებილთ წინადადებას აძლევს ოჯახში მოინახულონ კლასის ყოფილი დამრიგებელი გედეონ კუბლაშვილი, რომელიც სარეცელს არის მიჯაჭვული. ეს აზრი ყველამ ერთხმად გაიზიარა. მართალია, ამ სტუმრობას ბევრი ცრემლიც ახლდა თან, მაგრამ იგი თავისი დატვირთვით მაინც დაუვიწყარ, ამაღელვებელ სტუმრობად დარჩება ღვაწლმოსილი პედაგოგის ოჯახში.

სიყრმის მეგობრების და მათი აღმზრდელების შეხვედრის დროს ხშირად გაისმოდა მეტად ტევადი სიტყვა — „გახსოვს?“ ზოგი მომენტი, ფაქტი, მართლაც, დავიწყებას მისცემოდა, ზოგს შეგნებულად არ იხსენებდნენ, მაგრამ რომან კუპატაძემ გინესის წიგნში შესატანი რეკორდი მოხსნა. მან ბევრი რამ მოიგონა თავისი „ცელქობიდან“ და დღემდე „საიდუმლოებით მოცული“ დანაშაულობანიც აღიარა პედაგოგების თუ თანაკლასელების წინაშე. საყვედურის მაგივრად სიცილსა და ტაშს იმსახურებდა. ასევე საინტერესო იყო პედაგოგების ვენედიქტე, ლევან, გალაქტიონ და ნინა ობოლაძეების, რევაზ ყვავაძის, სონია გოგოლაშვილის, ვლადიმერ კუბლაშვილის, ნინა საზანოვას, ვენერა ჭიქაბერიძის და სხვების მოგონებები თავიანთ აღზრდილებზე. პედაგოგების წინაშე ერთგვარი ანგარიშით წარსდგნენ ნამოწაფარნი ციალა ხარატიშვილი, ნაირა ჭიქაბერიძე, გრიშა ჟორჟოლიძე, გენო გაბრიაძე, ჯუმბერ ბრეგაძე, რომან კუპატაძე... თუმცა ყველამ ვერ მოახერხა ამ შეხვედრაზე მოსვლა. საგულისხმოა, რომ შეხვედრას პენსიაში გასული და სხვა ქალაქში მცხოვრები პედაგოგებიც ესწრებოდნენ და ეს კიდევ უფრო აორკეცებდა სიხარულს.

ციალა ხარატიშვილი.

დიდი პატივისცემით და სიყვარულით გაიხსენეს განსვენებული პედაგოგები: ნაზი ობოლაძე, ოლია ქარქაშაძე, ეზეკი როინიშვილი, აკაკი გოლოძე, ანიკო ჩხეიძე...

„ამ შეხვედრისას მიღებული სიამოვნება მეყოფა, რაც სიცოცხლე დამრჩენია“, „ეს შეხვედრა ჩვენთვის სიცოცხლის გახანგრძლივების დღე იყო“, „ჩვენ ისევ ისეთები ვართ, როგორიც ვიყავით 1955 წელს. შორს ჩვენგან, სიბერევ!“ — ეს სტრიქონები ლაიტმოტივად გასდევდა ტყიბულის რაიონის სოფელ ხრესილის უშანგი ობოლაძის სახელობის სკოლის კურსდამთავრებულთა შეხვედრას. ამიტომაც იყო, რომ მისმა მონაწილეებმა განსაკუთრებული მადლობა გადაუხადეს დაუვიწყარი შეკრების თაოსანს ქალბატონ ციალა ხარატიშვილს და მომავალი შეხვედრის თარიღიც განსაზღვრეს.

გივი გეწაძე,
გაზეთ „ოკრიბის“ მთავარი რედაქტორი.

მაქვს იდეა

მოდით, შევქმნათ თბილისის „დინამოს“ სტაჟიან გულშემატკივართა კლუბი!

ნაახალწლევს, ბედობის დღეს, მეგობარ ოჯახს ვესტუმრე. მცირერიცხოვან სტუმართა შორის ემოციურობით გამოირჩეოდა, ერთი შეხედვით, ჯმუხი, შუა ხნის მამაკაცი — ყველა საკითხზე, სადღეგრძელოს ირგვლივ წამოჭრილ თუ ყოფით პრობლემებზე, კატეგორიული ტონით მოსაუბრე. როგორც კი შეიტყო, რომ ადრე წლების განმავლობაში გაზეთ „ლელოს“ რედაქტორი ვიყავი, უნდა გენახათ, როგორი სითბო და სიყვარული ჩაუდგა თვალებში. გვერდით მომიჯდა და სულ სხვა ხმით, თითქმის ალტაცებით მამცნო:

— იცით, ბატონო ანზორ, მე თბილისის „დინამოს“ ნაღდი, სტაჟიანი გულშემატკივარი ვარ, იმ დაუვიწყარი 1964 წლის შემოდგომაზე ტაშკენტშიც ვიყავი ჩასული მატჩის სანახავად...

შევატყე, რომ მოსაყოლი და მოსაგონარი ბევრი ჰქონდა — გული ყელში ებჯინებოდა, თვალები უციმციმებდა...

სოლიდურ, მშენებელ კაცს ძალიან ესახელებოდა თავისი „გულშემატკივრული“ წარსული, ეამაყებოდა, რომ არ გაეცდენია დინამოელთა არც ერთი მატჩი ყოფილი სსრ კავშირის ქალაქებში, პირადად იცნობდა ბევრ დინამოელს, ჩახედული იყო გუნდის საქმეებში...

კარგად ვიცნობ თბილისის „დინამოს“ თავგადაკლული გულშემატკივრის განყენებულ ტიპს: სერიოზულ, საქმიან ადამიანს, ჩვენი ქვეყნის სიკეთისათვის თავდადებულ პატრიოტს, ემოციურს, მუდამ ახალგაზრდას, ამაყსა და პატიოსან კაცს.

ასეთები კი მრავლად მიმოდიან თბილისის ქუჩებში. ცხოვრობენ ქუთაისსა თუ ბათუმში, გორსა თუ თელავში, საქართველოს ყოველ კუთხე-კუნჭულში. მათ უამრავი რამ გადახდენიათ თავს, ბევრი გაუღიათ იმისთვის, რომ მწვანე მინდორზე, თოვლსა და ყინვაში, სიცხესა და წვიმაში საკუთარი თვალით ენახათ საყვარელი ბიჭების თამაში, მათთან ერთად დამთვრალიყვნენ გამარჯვების სიხარულით, ეტირათ დამარცხების სიმწრის ცრემლებით.

მერე კი მეგობრებისთვის, მეზობლებისთვის, კოლეგებისთვის წვრილ-წვრილად ჩაეკაკლათ ის ამბები, რაც ნახეს, განიცადეს, კვლავ და კვლავ გაეხსენებინათ მშვენიერი, განუმეორებელი ფინტი, ყუმბარისებური დარტყმა, მეკარის კატისებური ნახტომი, ბურთის გაჩერების უბადლო „მელამი“...

დრო კი მიდის, იცვლება გარემო, ვითარება, მდგომარეობა, ასაკი. არ იცვლება მხოლოდ გული ნაღდი, უღალატო გულშემატკივრისა, მოგონებათა სკივრი, რომელშიც მას ამდენი ძვირფასი მოგონება, ქართულ ფეხბურთთან დაკავშირებული ამბავი, ფაქტი, ციფრი, ნომერი, მომენტი დაუუნჯებია.

დღეს ძნელია მოძებნო ის ბიჭი, შენთან ერთად რომ გადამძვრალა „დინამოს“ სტადიონის რკინის მესერზე, შენთან ერთად რომ მიუღია უკანასკნელი გროში სტადიონზე შესასვლელ ბილეთში, შენთან ერთად რომ მჯდარა ტაშკენტის „ფახტაქორის“ სტადიონზე 1964 წლის ოქროს შემოდგომის დღეს, შენს გვერდით რომ მიარღვევდა თვალანთებული, ალტაცებული, ბედნიერი გულშემატკივრების ზღვას თბილისის აეროპორტის მისადგომებთან დაუვიწყარი 1981 წლის გაზაფხულზე, ჩვენმა დინამოელებმა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი რომ ჩამოგვიტანეს...

სად, როდის, ვისთან უნდა გავხსნათ ჩვენი სანუკვარი მოგონებების სკივრი, ვის გადავუშალოთ ჩვენი ცხელი გული, ამდენ სამაყო, დაუვიწყარ მოგონებას რომ იტევს?

და აი, გაჩნდა იდეა: შევქმნათ თბილისის „დინამოს“ სტაჟიან გულშემატკივართა კლუბი, რომელშიც გაერთიანდებიან ისეთი „ფანატები“, ვისაც პირადად უნახავს ჩვენი გუნდის პირველი დიდი აღზევება, დარასელიას „ოქროს ბურთი“ დიუსელდორფში, გაბელიას „სათასო ნახტომი“ მოსკოვის „დინამოსთან“, ჩვენი სახელოვანი „დინამოს“ გამოსვლები მოსკოვსა და ლენინგრადში, კიევსა და მინსკში, ერევანსა და ბაქოში...

ამ კლუბის წევრობის პრეტენდენტმა უნდა იცოდეს ბევრი რამ გუნდის ძველი თაობის წევრების, მათი მწვრთნელების, ხელმძღვანელების შესახებ, წარმოადგინოს თუნდაც ერთი სუვენირი, რაც უკავშირდება „დინამოს“ ასპარეზობას დიდ სარბიელზე და კიდევ — ჰქონდეს დიდი სურვილი მასავით „მოწამლული“ გულშემატკივრის გაცნობისა, მათთან ერთად მოგონებათა ტკბილ მორევში ჩაძირვისა.

კარგი იქნება, თუ ეს შეხვედრები გაიმართება ჩვენს ლოლიძის წყლების სასახლეში, ანჩისხატის ეკლესიის გვერდით რომ მდებარეობს (დირექტორი ქალბატონი მანონი სანიკიძე სიხარულით აცხადებს თანხმობას), ვთქვათ, თვეში ერთხელ: იქვე მოეწყობოდა დინამოელთა საფეხბურთო ცხოვრებისა და ასპარეზობის ამსახველი ფოტოსტენდი (ცნობილი ფოტორეპორტიორი ალექსანდრე კოტორაშვილი სიამოვნებით დაგვეთანხმა); ჩავრთავდით ვიდეომაგნიტოფონს, ვნახავდით დინამოელთა თამაშებს სხვადასხვა დროს (იმედია, ამ საქმეს კარგად გაუძღვებოდა ცნობილი ტელეჟურნალისტი დათო ქლიბაძე); მოვისმენდით ჩვენი განუმეორებელი დიქტორების ეროსი მანჯგალაძისა და კოტე მახარაძის რადიორეპორტაჟების ნაწყვეტებს (ეს საქმე, ვფიქრობთ, ოპერატიულად მოგვარდებოდა ცნობილი სპორტული ჟურნალისტის, ამჟამად საქართველოს ტელერადიოკორპორაციის თავმჯდომარის არჩილ გოგელიას დახმარებით)...

და კიდევ: ვინ იცის, რამდენი რამ შეიძლება გაკეთდეს იმ კლუბში — ლოლიძის წყლების სასახლეში. ამას თვით ცხოვრება და ნაღდი გულშემატკივრები გვიკარნახებენ...

და, რაც მთავარია, აქ შეიკრიბებოდით თქვენ, თბილისის „დინამოს“ სტაჟიანი, ნაღდი გულშემატკივრები, ჩვენი სახელოვანი გუნდისა და ქვეყნის პატრიოტები; ადამიანები, რომლებსაც კვლავაც ხელგეწიფებათ, ემსახუროთ ქართულ სპორტულ იდეებს.

ველით თქვენს გამოხმაურებას, ძვირფასო მეგობრებო! მისამართი: კოსტავას 14. ტელ. 93-17-80.

ანზორ გასილაია.

ამინდი

10 იანვარს

დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა. უმეტესად უნალექოდ. ტემპერატურა ბარში — ღამით 0+5, დღისით +9+14, მთაში ღამით —2+3, დღისით +3+8, მაღალ მთაში — ღამით —1—6, დღისით —2+3 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში [illegible] მოღრუბლული ამინდი, თოვლი, ზოგან ნისლი და ლიპყინული. ტემპერატურა ბარში — ღამით —3+2, დღისით 0+5, მთაში ღამით —2—7, დღისით —3+2, მაღალ მთაში — ღამით —5—10, დღისით —1—6 გრადუსი.

თბილისში ღრუბლიანი ამინდია მოსალოდნელი, თოვლი, სუსტი ქარი, ტემპერატურა — ღამით —1+3, დღისით +2+4 გრადუსი.

საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება პარლამენტის ტრანსპორტის ქვეკომისიის ყოფილი თავმჯდომარის, რკინიგზის ყოფილი უფროსის, საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორის

ლევან ვარდოსანიძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია და „საქწიგნის“ კოლექტივი სამძიმარს უცხადებენ „მონკავშირის“ თავმჯდომარეს რევაზ ჭიჭინაძეს შვილის

ირაკლი ჭიჭინაძის

ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

მეუღლე ვილი კაჭარავა, შვილები ვასო, ნინო, რძალი მაია ბოკუჩავა, სიძე კოტე ნებიერიძე, შვილიშვილები სანდრო, გიორგი, ნინო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლეილა ბალავაძე-კაჭარავა

პანაშვიდი 11, 12 I, 4 ს., გამოსვენება 13 I, 2 ს., საბურთალოს ქ. 35, II სადარბაზო, მე-8 სართული.

ძმები ბენედიქტე, ტიტე, ვახტანგი, ალექსი ბალავაძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლეილა სევერიანეს ასული ბალავაძე-კაჭარავა

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის ეროვნული ალიანსის — ცეკავშირის გამგეობის აპარატის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ საგარეო-ეკონომიკური კავშირების სამსახურის უფროსს ომარ ჩიკვაიძეს მამის

ალექსანდრე ჩიკვაიძის

გარდაცვალების გამო.

მეუღლე ჯულიეტა, შვილები თამაზი, თემური, თამრიკო, შვილიშვილი მალხაზი, ძმა ვიტალი, დები ვალია, ზინა, ლილი, რძლები ელისო ვეკუა, ირინა კალანდია, ნუნუ იასაშვილი, მზიური არქანია, სიძეები შალიკო ვახანია, ოთარ ბაქრაძე, ძმისშვილები, დისშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

კლიმენტი მიხეილის ძე მატუას

გარდაცვალებას.
დაკრძალვა 13 იანვარს, 15 საათზე, დაბა წყნეთში, „გ“ ზონა.

მეუღლე თამარი, შვილები თამაზი, ოთარი, თემური, რძლები ნინო, ნაირა, ირინა, შვილიშვილები ნიკა, ნინო, გიორგი, ანი, თამარი, მარიამ წიკლაურები იუწყებიან

ნოდარ ნიკოლოზის ძე წიკლაურის

გარდაცვალებას.
პანაშვიდი 11, 12 I, 4 ს., დაკრძალვა 13 I, 2 ს. რუსთავში, რუსთაველის I გასასვლელი № 7.

ნიკოლოზ ლომაძე

მოულოდნელად გარდაიცვალა ცნობილი კარდიოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ნიკოლოზ ლომაძე.

ნიკოლოზ ლომაძე იყო 80-მდე სამეცნიერო შრომის ავტორი, რომელთაგანაც მნიშვნელოვანი ნაწილი საზღვარგარეთულ გამოცემებშია დასტამბული. იგი გახლდათ პიონერი საქართველოში ელექტროიმპულსური თერაპიის მეთოდის დანერგვისა. დიდი წვლილი მიუძღვის აგრეთვე გულის რითმის დარღვევათა მკურნალობის ქირურგიული მეთოდების დანერგვა-განვითარებაში.

ნიკოლოზ ლომაძე წლების განმავლობაში ეწეოდა ორგანიზატორულ საქმიანობას ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში; იყო ქ. თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილე. იგი თერაპევტთა იმ ჯგუფს ეკუთვნოდა, ხელიხელჩაკიდებულნი რომ მუშაობენ ქირურგებთან ერთად, რაც მან შესანიშნავად დაამტკიცა პირველი კლინიკური საავადმყოფოს გულმკერდის ქირურგიის განყოფილებაში მოღვაწეობის მთელი 35 წლის მანძილზე.

განსვენებული გამოირჩეოდა განსაკუთრებული პიროვნული თვისებებით და სიკეთით. მაგალითისათვის ისიც კმარა, რომ ყოფილმა სამხედრო ტყვემ, ამჟამად ცნობილმა გერმანელმა თერაპევტმა, დოქტორმა ჰესმა, 50 წლის შემდეგ მოძებნა თავისი მკურნალი ექიმი — ნიკოლოზ ლომაძე, რომელიც რამდენიმე წელიწადს მუშაობდა გერმანიაში, ტყვეთა ბანაკში და შინ მიიწვია იგი, სადაც დიდი პატივით იქნა მიღებული ბურგომისტრის მიერ.

სიკვდილიც განსაკუთრებული არგუნა ღმერთმა: სამსახურში, მძიმე ავადმყოფის კონსულტაციისას უეცრად შეწყდა მისი კეთილშობილი გულის ძგერა.

საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო; ქ. თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს ადმინისტრაცია; გულმკერდის ქირურგიის განყოფილება; გულმკერდის ქირურგიის საპრობლემო სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია.

პანაშვიდი გაიმართება განსვენებულის ბინაზე: თარხნიშვილის ქ. 25. 10, I, 15 საათზე. დაკრძალვა 11, I, 14 საათზე.

ლევან ვარდოსანიძე

რესპუბლიკის რკინიგზელებმა და ტექნიკურმა ინტელიგენციამ მძიმე დანაკლისი განიცადეს — გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პერსონალური პენსიონერი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საპატიო რკინიგზელი ლევან ბოიბოლის ძე ვარდოსანიძე.

დაიბადა 1925 წელს ქ. ტყიბულში. 1949 წელს თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს რკინიგზის ტრანსპორტზე.

ლ. ვარდოსანიძემ რთული, შინაარსიანი და სახელოვანი შრომითი გზა განვლო სადგურის მორიგიდან ყოფილი ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის თანამდებობამდე. სხვადასხვა დროს იყო ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიისა და თბილისის განყოფილებების უფროსი, რკინიგზის უფროსის პირველი მოადგილე, ხოლო 1978-1986 წლებში — ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსი.

ყველგან, სადაც კი უმუშავია, სარგებლობდა უდიდესი ავტორიტეტით. იყო რკინიგზის ტრანსპორტის თვალსაჩინო სპეციალისტი და დიდი ორგანიზატორი, ფართო ხედვის, ერუდირებული, ენერგიული და მომთხოვნი ხელმძღვანელი. რკინიგზელები და სატრანსპორტო მშენებლები მას იცნობდნენ, როგორც მუშაკაცის შრომის დამფასებელს, გულისხმიერ ადამიანსა და ჭეშმარიტ მამულიშვილს.

ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის პოსტზე მუშაობის პერიოდში მთელ ძალასა და ენერგიას ახმარდა მაგისტრალის ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა რკინიგზელთა სოციალური საკითხების გადაწყვეტას.

აქტიურ სამეურნეო საქმიანობას წარმატებით უთავსებდა სამეცნიერო მოღვაწეობას, იყო სახელმძღვანელოებისა და ნაშრომების ავტორი, რკინიგზელთა არაერთი ახალგაზრდა თაობის აღმზრდელი და დამრიგებელი.

ლ. ვარდოსანიძე ყოველთვის მხარში ედგა რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, მის პროგრესულ ძალებს სახელმწიფოებრივი საკითხების გადაწყვეტის საქმეში.

მშობლიური ქ. ტყიბულის მშრომელებმა დიდი ნდობა და სიყვარული გამოუცხადეს მას, როცა საქართველოს პარლამენტის წევრად აირჩიეს. თავმჯდომარეობდა საქართველოს პარლამენტის მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობის, ენერგეტიკის, კავშირგაბმულობისა და კომუნალური მეურნეობის კომისიის ტრანსპორტის ქვეკომისიას და დიდი წვლილი შეიტანა დამოუკიდებელი საქართველოს რკინიგზის ტრანსპორტის ფუნქციონირების შენარჩუნებაში ქვეყნისთვის უმძიმეს წლებში, აქტიურად მონაწილეობდა რკინიგზის ტრანსპორტის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის შემუშავებაში.

ქვეყნისა და ხალხის წინაშე დამსახურებისათვის დაჯილდოებული იყო მრავალი ორდენითა და მედლით.

ჩვენგან წავიდა სამშობლოს ერთგული შვილი, ნიჭიერი სპეციალისტი და დიდი ორგანიზატორი, იშვიათი სულიერი თვისებების მქონე სპეტაკი ადამიანი. მისი ნათელი სახე სამუდამოდ დარჩება იმათ ხსოვნაში, ვინც მას იცნობდა.

საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტი; საქართველოს რკინიგზის პროფკავშირის საგზაო კომიტეტი; საქართველოს რკინიგზის ვეტერანთა საბჭო.

გიორგი ბუხრიკიძე

კიდევ ერთი პიროვნება დააკლდა ქართულ სამუსიკო ხელოვნებას. გარდაიცვალა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გიორგი ესტატეს ძე ბუხრიკიძე.

დაიბადა 1926 წლის 7 სექტემბერს თბილისში, 1957 წელს დაამთავრა თბილისის კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო განყოფილება. 1957 წლიდან ოცი წლის განმავლობაში იგი თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მთავარი ქორმეისტერია. 1969 წელს დაინიშნა აფხაზეთის სახელმწიფო კაპელის დირიჟორ-კონსულტანტად. 1973-74 წლებში მუშაობდა ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური თეატრის მთავარ ქორმეისტერად. ეწეოდა აგრეთვე ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სამუსიკო სასწავლებლებში, სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მუშაობდა მედეა ფანიაშვილის სახელობის ხელოვნების აკადემიაში და დიმიტრი არაყიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელში.

გიორგი ბუხრიკიძის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მეგობართა და ნამოწაფართა გულში.

გახსენება

რომან კინწურაშვილი



ორმოცი დღე შესრულდა, რაც ჩვენს შორის აღარ არის რომან კინწურაშვილი, კაცი კეთილი და მართალი, სამაგალითო თბილისელი, გაჭირვებაში მხარში ამომდგომი და იმედის მომცემი, კეთილშობილი ქართული ოჯახის პატრონი.

რომან კინწურაშვილი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მუშაობდა ნავთობპროდუქტების მომარაგების დარგში ხელმძღვანელ თანამდებობაზე და დიდი ამაგი დასდო ამ მეტად რთულ სამსახურს.

მისმა ტრაგიკულმა სიკვდილმა ყველას გვატკინა გული, დავკარგეთ კვალიფიციური სპეციალისტი, სათნო ადამიანი და კარგი მეგობარი.

რომან კინწურაშვილის ნათელი სახე მარად დარჩება კოლეგებისა და მეგობრების ხსოვნაში.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

სახელმწიფო ჰოლდინგური კომპანია საქნავთობპროდუქტის კოლექტივი.

მორიგე რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი

გამომცემელი — შპს „პრესა“
რედაქციის მისამართი: [illegible], თბილისი, ვ. კოსტავას ქ. № 14. [illegible] ტელ. 93-78-24. მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი